

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი

ნაკაშიძე სულხანი

**საღაზღვევო კომპანიების რეგულირების როლი კომპანიის
ფინანსური მდგრადობაში და მათი მართვის ინსტრუმენტები**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ემკ პროფესორი
ასიე ცინცაძე

ხიჭაური 2019

ანოტაცია

სადაზღვევო საქმიანობა თანამედროვე პერიოდში მოჭარბებული რისკებისაგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან როგორც ბიზნეს საქმიანობაში, ასევე საჯარო სექტორში დაიწყო დამკვიდრება რისკ მენეჯმენტმა, დაზღვევის როლი მაინც არ შემცირებულა. დაზღვევა, როგორც ბიზნესის სფერო მოგების მიღების პრინციპზე არის დაფუძნებული, მაგრამ საქმიანობის შიდა ანატომია დიდი ღობით მოიცავს სოციალურ მდგენელს. სადაზღვევო დაცვა რისკის რეალიზაციის შემთხვევაში ზარალის კომპენსაციას გულისხმობს. გამომდინარე აქედან სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა უმნიშვნელოვანესი პირობაა სადაზღვევო ვალდებულების შესასრულებლად. სადაზღვევო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიები გრძელვადიან დაფინანსებას ძირითადად, კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სადაზღვევო კომპანიები კომპენსაციის გაცემით ხელს უწყობენ ბიზნეს სუბიექტებს შეინარჩუნონ ბიზნესუნყველობა, ფიზიკურ პირებს-მატერიალური მდგომარეობა და ა.შ. დაზღვევის სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე, ალბუელი რისკების რეალიზაციის შემთხვევაში ვალდებულების შესრულებისათვის კომპანიის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დაზღვევის რეზერვებს. დაზღვევის რეზერვები კომპანიის გადახდისუნარიანობასთან ერთად, მას უნარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი სწორედ არის რეზერვების ფორმირების წესის შესაბამისად საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მდგომარეობის შესწავლა. რეზერვების მოცულობის სწორად გათვლა კომპანიას იცავს გაკოტრების რისკისაგან და შესაბამისად არაპირდაპირი დაზღვევის ფიზიური ან იურიდიული პირის დაცვას ახდენს ზარალის კომპენსაციით. სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა არის მოსახლეობის მიერ დაზღვეული რისკების მატერიალური ზარალისაგან დაცვის საშუალება, ბაზრის განვითარების შეფასების

მნიშვნელოვანი ინდიკატორი. გამომდინარე აქედან, ნაშრომში კვლევა მიმართულია ქართული სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შეფასებაზე.

The role of insurance reserve companies in the financial stability of the company and their management tools

Annotation

Insurance activities are the only means of protection against the risks in the modern period. Despite the fact that in the 80s of the twentieth century as a business activity, as well as in the public sector, risk management, the role of insurance has not decreased. Insurance As a business venture is based on the principle of profit, the internal anatomy of activity involves a large dose of social impact. Insurance protection means compensation for losses in case of risks. Therefore, the financial condition of insurance companies is of utmost importance to fulfill the insurance liability. The insurance sector plays an important role in the economy of the country. Taking into consideration international experience, insurance companies provide long-term financing mainly through the capital market. Besides the fact that insurance companies provide compensation, business entrepreneurs maintain business interruptions, physical entities and material status. They are one of the most important providers of temporary free financial resources of the capital market. In case of realization of risks, due to the specific nature of the insurance, the insurance resources are important in the structure of the company for the fulfillment of the obligation. Insurance Reserves With the company's solvency, it preserves financial sustainability. The aim of the Master's Thesis is to study the state of insurance companies operating in Georgia in accordance with the rules of formation of reserves. Properly calculating the volume of reserves protects the company from risk of bankruptcy and thus protects the individual or legal person of indirect insurer by compensating the damages. Thus the topic of the Master's thesis is actual in several directions. The solvency and competitiveness of the insurance company is an opportunity to protect the risks of insured by the population, a significant indicator of market development assessment. Based on this, the research is aimed at evaluating the solvency of Georgian insurance companies.

შინაარსი

შესავალი ----- 6

1 თავი: სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები ----- 7

1.1. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ფორმირება ----- 7

1.2. საინვესტიციო საქმიანობის როლი კომპანიის ფინანსურ მდგრადობაში -----18

1.3. სადაზღვევო რეზერვების როლი სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაში ----- 31

2 თავი: სადაზღვევო კომპანიების სამართლებრივი რეგულირება ----- 38

2.1. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის სამართლებრივი საფუძვლები ევროპის ქვეყნებში ----- 38

2.2. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში ----- 45

3 თავი: სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა საქართველოში ----- 57

3.1. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შეფასება საქართველოში ----57

დასკვნა ----- 68

რეკომენდაციები ----- 70

შესავალი

თემის აქტუალობა - დაზღვევა რისკის მართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც მის მოსარგებლეს საშუალებას აძლევს რისკის დადგომის შედეგად წარმოქმნილი ზარალი თავიდან აიცილოს. პირველი სადაზღვევო კომპანია საქართველოში 1990 წელს, ხოლო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 1997 წლიდან ფუნქციონირებს. ამ პერიოდისათვის (1997 წელი) ქვეყანაში უკვე რეგისტრირებული იყო 25 სადაზღვევო კომპანია, დღეისათვის კი მათი რიცხვი 14-ს შეადგენს. რაც უფრო იზრდება რისკების ჩამონათვალი, მით უფრო სამეცნიერო კვლევებში ფართოვდება სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობისადმი ინტერესი. ეს ბუნებრივიცაა სადაზღვევო კომპანია არის ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მთავარი ამოცანაა მიიღოს რისკები დაზღვევაში და ისე წარმართოს საქმიანობა, რომლითაც უზრუნველყოფს სადაზღვევო დაცვას და ამავე დროს მოგების მიღებას. ქართული სადაზღვევო კომპანიები არ გამოირჩევა პროდუქტების მრავალფეროვნებით, ამავე დროს მომხმარებელზე შეთავაზებული პროდუქტებიდან მხოლოდ 4-5 სადაზღვევო პროდუქტი დომინირებს. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სისტემატურად სწავლობს სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას, მონოდებულია ფინანსურად მდგრადი სადაზღვევო ბაზრის ფორმირებაზე. მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას დაზღვევის დარგის განვითარებაზე: სადაზღვევო პროდუქტის სპეციფიკური ბუნება, დაზღვევის კულტურა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სადაზღვევო კომპანიებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონე. ეროვნული ბანკისა და დაზღვევის

ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით 2015 წელს სადაზღვევო კომპანიებისადმი დაწესდა მოთხოვნა: მხოლოდ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებისათვის. ეს მოთხოვნა ერთის მხრივ ქართულ სადაზღვევო ბაზარს აახლოებს ევროპულ კანონმდებლობასთან და მეორეს მხრივ სადაზღვევო საქმიანობას ხდის მეტად გამჭვირვალეს. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრალობის შესწავლა აქტუალურია ყველა დროში, გამომდინარე აქედან სამაგისტრო ნაშრომში მიზნად არის დასახული ქართულ ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობაში დაზღვევის რეზერვების შესწავლა-შეფასება.

კვლევის მიზანი - საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიების რეზერვების შეფასება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული რეზერვების ფორმირებისა და განთავსების წესის და ასევე გადახდისუნარიანობის არსებული მეთოდის გამოყენება. ნაშრომში ასევე ყურადღება მიქცეულია კონკურენტუნარიანობის, როგორც გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი მაჩვენებლის შეფასებაზე.

კვლევის ამოცანები - 1. შესწავლილი იქნას საქართველოს სადაზღვევო ბაზარის სტრუქტურა მიწოდებული დაზღვევის პროდუქტების მიხედვით; 2. გაანალიზდეს მოზიდული პრემიის მოცულობაში ისეთი პროდუქტების წილი, როგორცაა სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო ფონდები; 3. ფინანსური ანგარიშგების შესწავლით დადგინდეს კომპანიების მომგებიანობა; 4. გადახდისუნარიანობის მეთოდოლოგიით გაანგარიშდეს სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობა და რეზერვების როლი მის უზრუნველყოფაში.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, ექსპერტთა შეფასებები, სადაზღვევო ზედამხედველობის სტატისტიკური მონაცემები და მეთოდოლოგია.

თავი 1: სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრალობის უზრუნველყოფის მექანიზმები

1.1. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ფორმირება

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრალობისათვის აუცილებელია კომპანიამ სწორად მოახდინოს მიღებული ფინანსური რესურსების ფორმირება, რომელმაც მომავალში უნდა შეუნარჩუნოს მას მდგრალობა და მისცეს განვითარების, წინსვლის საშუალება. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური შედეგი შესაძლებელია იყოს როგორც წლიური მოგება ასევე წლიური ზარალიც, ყოველივე ამას კი განაპირობებს მის ხელთ არსებული და მის მიერ გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებათა რაოდენობა და მათ შორის თანათვარდობის სწორად განსაზღვრა. ნაშრომში განვიხილავთ ფინანსურ შედეგების, თუ რა მექანიზმები გააჩნია სადაზღვევო კომპანიებს, რომლითაც ისინი აგრძელებენ საქმიანობას. სადაზღვევო ორგანიზაციის ფინანსური მოდელი მისი ბუღალტრული ბალანსია. ბალანსის აქტივებში წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიის საკუთრებაში მყოფი ქონება, რომელშიც მთავარი შემადგენელი ელემენტებია:

- არამატერიალური აქტივები
- ინვესტიციები
- წილი გადაზღვევლების სადაზღვევო რეზერვებში

- დებიტორული დავალიანება
- ფულადი საშუალებები

კონკრეტული მზღვეველის ბალანსგარეშე აქტივები მოიცავს: სიცოცხლის დაზღვევის სესხების წილს სადაზღვევო რეზერვებში, დაზღვევის და გადაზღვევის შემდეგ ფორმირებულ რესურსებს და ასე შემდეგ. სიცოცხლის დაზღვევა - ეს არის სესხი, რომელიც გაიცემა დამზღვევის მიერ დაზღვეულის მიმართ გარკვეული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. გადამზღვეველის წილი სადაზღვევო რეზერვებში არის ის ნაწილი, რომლითაც გადამზღვეველი კომპანია ღებულობს დაზღვევაში მიღებული რისკის ნაწილს. სადაზღვევო ორგანიზაციის ფინანსური საშუალებების წყაროების სტრუქტურაში ორი ძირითადი ნაწილია გამოყოფილი - საკუთარი და მოზიდული კაპიტალი. სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოზიდული კაპიტალის წილი გაცილებით მაღალია.

მზღვეველის საკუთარი კაპიტალის ელემენტების შემადგენლობა მსგავსია ნებისმიერი ბიზნეს ერთეულის მზღვეველის კაპიტალის სტრუქტურისა და მოიცავს: სააქციო კაპიტალს, დამატებით კაპიტალს, სარეზერვო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას, მიზნობრივ შემოსავლებსა და ფინანსებს.

მზღვეველის საკუთარი კაპიტალის ფორმირების ძირითადი წყაროებია დამფუძნებელთა შენატანები, საინვესტიციო შემოსავალი. დაზღვევას აქვს დიდი სოციალური მნიშვნელობა, როგორც ფინანსურ ინსტიტუტს, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მოზიდული სახსრების სტრუქტურა განპირობებულია სადაზღვევო ბიზნესის სპეციფიკით და მისი მთავარი წყაროებია:

- ა) სადაზღვევო რეზერვები;
- ბ) სადაზღვევო და გადაზღვევის ოპერაციებზე გადასახდელი ანგარიშები;
- გ) გადასახდელი ანგარიშები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება სადაზღვევო საქმიანობას.

ზოგადად, სადაზღვევო ორგანიზაციის საბოლოო ფინანსური შედეგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მის შემოსავალსა და ხარჯებს შორის. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ბიზნესის სპეციფიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებისა

და ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ინდიკატორთა შემადგენლობაზე, სტრუქტურასა და შინაარსზე, რაც განსაზღვრავს საბოლოო ფინანსურ შედეგს. სადაზღვევო ორგანიზაციის შემოსავალი არის დაზღვევის პრემიით მიღებული ჯამური შემოსავალი. მზღვეველის ყველა შემოსავალი იყოფა სამ ჯგუფად:

- 1) შემოსავალი სადაზღვევო ოპერაციების განხორციელებიდან;
- 2) შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან;
- 3) სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეხება უშუალოდ სადაზღვევო ოპერაციებს.

როგორც აღინიშნა სადაზღვევო კომპანიის ძირითადი შემოსავალი მიიღება მათი ძირითადი სადაზღვევო საქმიანობიდან. დაზღვევის პრემია არის კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძირითადი წყარო. აქტუარულ ანგარიშები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სამი ასწლეულის წინ 1760 წელს, დღემდე ასრულებს სადაზღვევო სამიანობის ძირითადი რეგულატორის როლს. სადაზღვევო კომპანიები, როგორც წესი მოიცავს ორ ქვედარგს: რისკიანი (ქონების, პასუხისმგებლობის) და გარდა რისკიანისა (სიცოცხლის დაგროვებადი და დაბრუნებადი დაზღვევა). აქტუარული ანგარიშებიც განსხვავდება ამ ორი ქვედარგის მიხედვით. კონკრეტულ სადაზღვევო პროდუქტზე ხელშეკრულების გაფორმება იწყება დასაზღვევი ობიექტის მონაცემების შესწავლით პოტენციური დამზღვევის მიერ მონოღებული ინფორმაციის საფუძველზე (ღირებულება, დაზღვევის მომენტისათვის არსებული მდგომარეობა, დამზღვევის ფინანსური შესაძლებლობა), ხოლო სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ობიექტის შეფასება იწყება მიწოდებული რისკის დაზღვევალობის დადგენით. კერძოდ დაზღვევადი რისკი უნდა ხასიათდებოდეს სამი ძირითადი ნიშნით: შემთხვევითობა, შესაძლებლობითობა და გაზომვადობა. აქტუარული ანგარიშების გამოყენებით დგინდება კონკრეტულ პროდუქტზე დაზღვევის ტარიფი ერთგვაროვანი ობიექტების ერთგვაროვანი რისკების მიხედვით შექმნილ დაზღვევის პორტფელზე. დაზღვევის ტარიფის აგების პრინციპის მიხედვით ის უდა იყოს სამართლიანი, ანუ არ შეიცავდეს მზღვეველის უსამართლოდ გამდიდრების კომპონენტს, მორგებული უნდა იყოს დამზღვევის გადახდისუნარიანობაზე და უზრუნველყოფდეს ექვივალენტურობის

პრინციპის დაცვას პორტფელის ერთობლიობაზე. დაზღვევს ტარიფის ძირითადი შემადგენელი ნაწილი არის ნეტო განაკვეთი:

$$T_{\text{ნეტო}} = T_{\text{ძირ.}} + T_{\text{რისკ.დან.}}$$

ნეტო-განაკვეთის ძირითადი ნაწილი ემსახურება პორტფელში მათემატიური საშუალოთი დადგენილ სადაზღვევო შემთხვევების ზარალის ანაზღაურებას. დაზღვევის რისკული სახიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოვლენების არახელსაყრელად განვითარების შედეგად დადგეს მეტი სადაზღვევო შემთხვევა, ვიდრე მათემატიკური საშუალოთი დგინდება. გამომდინარე აქედან, სადაზღვევო კომპანია ადეკვატური მოცულობის რეზერვების ფორმირებისათვის, კომპანიის უსაფრთხოების გარანტიის კოეფიციენტის გათვალისწინებით გაიანგარიშებს რისკულ დანამატს. ამგვარად კომპანიის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილი რეზერვები ფორმირდება კლიენტის მიერ გადახდილი დაზღვევის პრემიით, გაანგარიშებული ნეტო პრემიის სრული შედგენილობით.

სადაზღვევო კომპანიები, გარდა სადაზღვევო ოპერაციებისა, ატარებენ საინვესტიციო ოპერაციასაც, რომელსაც შემდეგ ქვეთავში გავაანალიზებთ. აუცილებლად მიგვაჩნია გარდა დაზღვევის პრემიის სამართლიანად და სწორად გაანგარიშებისა, რით არის უზრუნველყოფილი კომპანიის ფინანსური მდგრადობა.

როგორც ვიცით სადაზღვევო კომპანიების ძირითადი წყარო სადაზღვევო გადასახადებია. ამასთან დაკავშირებით, სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებლად მიღებულია სადაზღვევო თანხის მოცულობა. იგი ასახავს სადაზღვევო პორტფელის ზომას, სტრუქტურას და ხარისხს, სადაზღვევო მომსახურების მოცულობას და სპექტრს, სადაზღვევო ფონდის აუცილებელ ზომას. სადაზღვევო შენატანების მოცულობის დინამიკით ხასიათდება სადაზღვევო მომსახურებისა და სხვა რესურსების ჩამოყალიბების პროცესი. მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა გვიჩვენებს, თუ რა მოცულობის ვალდებულება აიღო კომპანიამ საკუთარ პასუხისმგებლობაში. ერთი ხელშეკრულების საშუალო სადაზღვევო თანხის და საშუალო გადახდის მაჩვენებელი ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ პუნქტებს. აღსანიშნავია, რომ ჯამური სადაზღვევო

შენატანები - ესაა საშუალო გადახდების და არსებული ხელშეკრულებების რაოდენობის მაჩვენებლების სინთეზირებული გამოხატულება. თავის მხრივ, მოქმედი ხელშეკრულებებით ყალიბდება სადაზღვევო პორტფელის სიდიდე. სადაზღვევო შენატანები წარმოადგენს სინთეზურ მაჩვენებელს, რომლის სიდიდებზეც გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ხასიათის ფაქტორები. სადაზღვევო ოპერაციების ანალიზის პროცესში შეისწავლება შემოსავლების ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა და დადგენილი დაზღვევის საბაზო ტარიფი. კომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური მენეჯმენტის ანალიტიური ინსტრუმენტები, დაზღვევის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. კერძოდ:

1. სადაზღვევო კომპანიის საკუთარი საშუალებების ფარდობა დაზღვევის რეზერვების მოცულობასთან, ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 0.3 -ზე ნაკლები (ეს მაჩვენებელი გამოიყენება კომპანიის საკუთარი საშუალებების საკმარისობის შესაფასებლად ვალდებულებების დასაფარავად);

<i>საკუთარი საშუალებების</i>	<i>საკუთარი საშუალებები</i>
<i>ფარდობა დაზღვევის რეზერვების</i>	= -----
<i>მოცულობასთან</i>	<i>დაზღვევის ნეტო-რეზერვები</i>

2. სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებათა დატვირთვის კოეფიციენტი - ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს საკუთარი საშუალებების 25 %-ს. მისი გამოყენებით ფასდება კომპანია რამდენად მოიზიდავს სასესხო საშუალებებს. საერთოდ სადაზღვევო კომპანიებისათვის არ არის დამახასიათებელი სასესხო საშუალებების დიდი წილი, რადგან მიღებულია რომ სადაზღვევო კომპანიებმა დაზღვევის საქმიანობა უნდა განახორციელონ საკუთარი საშუალებებით და შექმნილი დაზღვევის რეზერვებით. სასესხო საშუალებების დიდი წილი მიუთითებს 1. კომპანიის საკუთარი საშუალებების არასაკმარისობაზე და 2. დაზღვევის რეზერვების ფორმირების არასწორ პოლიტიკაზე.

<i>სადაზღვევო კომპანიის</i>	<i>ვალდებულებები</i>
-----------------------------	----------------------

ვალდებულებათა დატვირთვის = -----

კოეფიციენტი

ვალდებულებათა და კაპიტალის ჯამი

3. კომპანიის პასივებში საკუთარი კაპიტალის წილის კოეფიციენტის მაჩვენებელი არ უნდა იყოს 19%-ზე ნაკლები. მაჩვენებლით განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრალობის საერთო დონე. რამდენადაც მაღალია ეს მაჩვენებელი, იმდენად მაღალია ფინანსური მდგრალობა.

პასივებში

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის = -----

წილი

ვალდებულებათა და კაპიტალის ჯამი

4. გადამზღვეველების წილი სადაზღვევო რეზერვებში (გარდა სიცოცხლისა) - ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს სადაზღვევო კომპანიების დამოკიდებულებას გადამზღვეველებზე მოცემული საანგარიშო პერიოდისათვის და ის უნდა იმყოფებოდეს 0,04-0,45 დიაპაზონში.

გადამზღვეველების

გადამზღვევის წილი სადაზღვევო რეზერვებში

წილი სადაზღვევო = -----

რეზ-ში (გარდა სიც)

სადაზღვევო რეზერვები

5. სადაზღვევო კომპანიების მიმდინარე გადახდისუნარიანობა - ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 85%-ზე ნაკლები. მაჩვენებელი ახასიათებს დაზღვევის პრემიის სახით შემოსულობების საკმარისობას მიმდინარე ზარალების ანაზღაურებისათვის, საქმის წარმოების, მმართველობითი, სარეალიზაციო და არასარეალიზაციო ხარჯების დასაფარავად, გარდა საინვესტიციო საქმიანობის ხარჯებისა.

სადაზღ. კომპანიების

დაზ-ის პრემია - გადაზ-ის ნეტო პრემია

მიმდინარე

= -----

გადახდისუნარიანობა

სადაზ. ხელშეკ-ზე გადახდები

6. მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებელი - ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 0,5-ზე მეტი. ის აჩვენებს, რამდენად აქვს უნარი სადაზღვევო კომპანიას მისდამი წაყენებული ვალდებულებები დატაროს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციით.

მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებელი = $\frac{\text{ლიკვიდური აქტივები}}{\text{კომპანიის ვალდებულებები}}$

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სტაბილურობის შესათვასებლად შეიძლება გამოყენებული იყოს ფორმულა, რომელიც გამოხატავს შემოსავლების თანათვარდობას ხარჯებთან სატარიფო პერიოდში.

$$K_{\phi y} = \frac{\sum D + 3}{\sum P}$$

სადაც K-არის ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი

D-სატარიფო პერიოდისთვის მზღვევლის შემოსავლის ოდენობა

P-იგივე პერიოდის ხარჯები

3-სარეზერვო ფონდებში თანხის ოდენობა

K-ს ღირებულება ნორმალურად ითვლება მაშინ როდესაც ის აღემატება ერთს, ანუ როდესაც სატარიფო პერიოდში შემოსავლის ოდენობა სარეზერვო ფონდების სახსრების ბალანსის გათვალისწინებით აღემატება მზღვევლის ყველა ხარჯს იმავე პერიოდში. ზემოთ აღნიშნული ფორმულა გვიჩვენებს რომ შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე სატარიფო პერიოდისათვის ოპტიმალური ტარიფების საფუძველზე, საჭიროა სადაზღვევო ფონდების თანხების საკმარისი კონცენტრაცია და სარეზერვო ფონდების სისტემის ხელმისაწვდომობა, რომელიც იძლევა არასასურველი პერიოდის განმავლობაში საგანგებო სიტუაციის ანაზღაურების საშუალებას, რითაც უზრუნველყოფს ზარალების განაწილებას დროში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მეთოდისა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის შესასწავლად გამოიყენება კონშინის კოეფიციენტი.

$$K = \sqrt{\frac{1-q}{\Pi \cdot q}}$$

სადაც, q - არის დაზღვევის საბაზო ტარიფი კონკრეტულ სადაზღვევო პორტფელზე.

Π - დაზღვეული ობიექტების რაოდენობა.

როდესაც K დაბალია, ნაკლებია ვარიაციის ხარისხი საერთო სადაზღვევო ფონდის მოცულობაში, შესაბამისად მაღალია ფინანსური სტაბილურობა და გადახდისუნარიანობა. მზღვეველის გადახდისუნარიანობა - ეს არის შესაძლებლობა დატაროს ვალდებულებები იმ აქტივებით, რომლებსაც აქვთ რეალური ღირებულება და ამას გარდა არის ლიკვიდური. ვალდებულებების დატარვის შესაძლებლობა დამოკიდებულია აქტივებსა და პასივებზე, რომლებიც აისახება სადაზღვევო კომპანიის ბალანსში. მზღვეველის აქტივების და ვალდებულებების თანათარდობის ნორმატიული ზომის გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი წარმოდგენილია აქტივების და ვალდებულებების ოდენობებს შორის განსხვავებებით, რომელიც არ შეიძლება იყოს იმაზე დაბალი ვიდრე სტანდარტითაა დადგენილი.

ყურადღება უნდა დაეთმოს დადგენილი სტანდარტისგან თავისუფალი აქტივების რეალური თანხის შესაძლო გადახრას. ერთ-ერთი მათგანი არის -დაზღვევის თითოეული ფორმის ფინანსური სტაბილურობის დამაბრკოლებელი ფორმა, გადახდისუნარიანობასთან ერთად. მეორე - მზღვეველის ბალანსში აქტივების და ვალდებულებების ინფლაციური ცვლილებები.

ნებისმიერი ტიპის დაზღვევის ფინანსური სტაბილურობა პირველ რიგში დამოკიდებულია ხელშეკრულებების რაოდენობასა და სატარიფო განაკვეთზე. მეტი სადაზღვევო კონტრაქტი ნიშნავს უფრო მაღალ ფინანსურ სტაბილურობას მაგრამ მაღალი სატარიფო განაკვეთი მის ნაკლებ სტაბილურობას. თუმცა სატარიფო განაკვეთის დონე დამოკიდებულია სადაზღვევო რეზერვზე, ანუ რაც უფრო მაღალი განაკვეთია უფრო მეტია რეზერვის რაოდენობა. აქედან გამომდინარე თავისუფალი

აქტივების ფაქტობრივი მოცულობის განსაზღვრისას საჭიროა დაუზუსტებელი სადაზღვევო რეზერვების გამოთვლა, რომლებიც აისახება ამ აქტივების ზრდაში. ამავე დროს გადახდისუნარიანობის განსაზღვრისას აქტივის შესაბამისი მუხლები და ბალანსის პასივები შეიძლება გადანაწილდეს რისკის ფაქტორების მიხედვით.

საინტერესოა რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ფინანსური მდგრადობის მოთხოვნებს. ამისათვის განვიხილეთ პირველი სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა; „აღდაგი“, როგორც ქართულ ბაზარზე დიდი წილის მფლობელი და მოკლე ისტორიის მქონე და საკმარისად ძლიერი კომპანია „არდი“. მათი ფინანსური მდგრადობის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია გამოიკვეთოს განვითარების შესაძლებლობები ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. სადაზღვევო კომპანიებისათვის მნიშვნელოვან მაჩვენებელს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა წარმოადგენს. თითოეულ მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მოზიდული პრემიის მოცულობა, გადაზღვევის წილი და ბარალების მოცულობა.

კომპანია „აღდაგი“-ს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები არის შემდეგი:

მიმდინარე	ლიკვიდური აქტივები	
ლიკვიდურობის	= -----	=
მაჩვენებელი	კომპანიის ვალდებულებები	
	83531	
	= -----	= 0.96
	86215	

მოცემული მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებლის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 0,5 -ზე მეტი. ის აჩვენებს რამდენად აქვს უნარი სადაზღვევო კომპანიას მისდამი წაყენებული ვალდებულებები დატაროს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციით. ჩვენს შემთხვევაში კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენს 0,96-ს რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას არ შესწევს უნარი ვალდებულებები დატაროს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციით.

<i>სადაზღ. კომპანიების</i>	<i>დაზ-ის პრემია - გადაზ-ის ნეტო პრემია</i>
<i>მიმდინარე</i>	<i>= ----- =</i>
<i>გადახდისუნარიანობა</i>	<i>სადაზ. ხელშეკ-ზე გადახდები</i>
<i>85922 - 23152</i>	
<i>= ----- = 1.51</i>	
<i>41540</i>	

სადაზღვევო კომპანიების მიმდინარე გადახდისუნარიანობა - ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 85%-ზე ნაკლები. მაჩვენებელი ახასიათებს დაზღვევის პრემიის სახით შემოსულობების საკმარისობას მიმდინარე ზარალების ანაზღაურებისათვის, საქმის წარმოების, მმართველობითი, სარეალიზაციო და არასარეალიზაციო ხარჯების დასათვარავად, გარდა საინვესტიციო საქმიანობის ხარჯებისა. ჩვენს შემთხვევაში კომპანიის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი შეადგენს 1,51%-ს რაც ნიშნავს იმას, რომ პრემიის სახით მიღებული შემოსულობები საკმარისია მიმდინარე ზარალის ანაზღაურებისთვის.

<i>საკუთარი საშუალებების</i>	<i>საკუთარი საშუალებები</i>
<i>ფარდობა დაზღვევის რეზერვების</i>	<i>= ----- =</i>
<i>მოცულობასთან</i>	<i>დაზღვევის ნეტო-რეზერვები</i>
<i>48626</i>	
<i>= ----- = 0.96</i>	
<i>51689</i>	

სადაზღვევო კომპანიის საკუთარი საშუალებების ფარდობა დაზღვევის რეზერვების მოცულობასთან, ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 0.3 - ზე ნაკლები ეს მაჩვენებელი გამოიყენება კომპანიის საკუთარი საშუალებების საკმარისობის შესათვასებლად ვალდებულებების დასათვარავად; ჩვენს შემთხვევაში კომპანიის

მაჩვენებელი შეადგენს 0,96-ს რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი საკუთარი საშუალებები ვალდებულებების დასაფარად.

კომპანია "არდი"-ს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები არის შემდეგი:

მიმდინარე		ლიკვიდური აქტივები	
ლიკვიდურობის	=	-----	=
მაჩვენებელი		კომპანიის ვალდებულებები	
		1796052	
	=	-----	= 0.04
		36588140	

მოცემული მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებლის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 0,5 -ზე მეტი. ის აჩვენებს რამდენად აქვს უნარი სადაზღვევო კომპანიას მისდამი წაყენებული ვალდებულებები დაფაროს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციით. ჩვენს შემთხვევაში კოეფიციენტი შეადგენს 0,04-ს რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას შესწევს უნარი ვალდებულებები დაფაროს ლიკვიდური აქტივების რეალიზაციით.

სადაზღ. კომპანიების		დაზ-ის პრემია - გადაზ-ის ნეტო პრემია	
მიმდინარე	=	-----	=
გადახდისუნარიანობა		სადაზ. ხელშეკ-ზე გადახდები	
		31383359 - 3762651	
	=	-----	= 1.51
		20739039	

სადაზღვევო კომპანიების მიმდინარე გადახდისუნარიანობა - ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 85%-ზე ნაკლები. მაჩვენებელი ახასიათებს დაზღვევის პრემიის სახით შემოსულობების საკმარისობას მიმდინარე ზარალების ანაზღაურებისათვის, საქმის

წარმოების, მმართველობითი, სარეალიზაციო და არასარეალიზაციო ხარჯების დასაფარავად, გარდა საინვესტიციო საქმიანობის ხარჯებისა. ჩვენს შემთხვევაში კომპანიის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი შეადგენს 1,51%-ს რაც ნიშნავს იმას, რომ პრემიის სახით მიღებული შემოსულობები საკმარისია მიმდინარე ზარალის ანაზღაურებისთვის.

<i>საკუთარი საშუალებების</i>	<i>საკუთარი საშუალებები</i>
<i>ფარდობა დაზღვევის რეზერვების</i>	= ----- =
<i>მოცულობასთან</i>	<i>დაზღვევის ნეტო-რეზერვები</i>
<i>6600705</i>	
= ----- = <i>0.25</i>	
<i>25779452</i>	

სადაზღვევო კომპანიის საკუთარი საშუალებების ფარდობა დაზღვევის რეზერვების მოცულობასთან, ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 0.3 - ზე ნაკლები. ეს მაჩვენებელი გამოიყენება კომპანიის საკუთარი საშუალებების საკმარისობის შესათვასებლად ვალდებულებების დასაფარავად; ჩვენს შემთხვევაში კომპანიის მაჩვენებელი შეადგენს 0,25-ს რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საკუთარი საშუალებები ვალდებულებების დასაფარად.

სადაზრვევო კომპანია „ალდაგი“, როგორც ბაზრის მონინავე მოთამაშე ფინანსური მდგრადობის შემფასებელი მაჩვენებლების მიხედვით საკმარისად მდგრად ინსტიტუტად გამოდის. ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს კომპანიის მდგრადობის სუსტ მხარეზე, თუმცა კომპანიის აუდიტის დასკვნის გაცნობით ჩანს, რომ კომპანია უზრუნველყოფს ვალდებულებების დაფარვას, ხოლო კოეფიციენტის დაბალი დონე გამოწვეულია დროის კონკრეტულ მონაკვეთში არასაკმარისი პრემიის მოცულობით.

1.2. საინვესტიციო საქმიანობის როლი კომპანიის ფინანსურ მდგრადობაში

საინვესტიციო საქმიანობა ითვლება სადაზღვევო კომპანიის მეორე ფუნქციად, თუმცა, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლის დაზღვევას, აქ საინვესტიციო სარგებელი დაზღვევის ამ სახეზე ტარიფის გათვლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ხდება. მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევის საინვესტიციო შემოსავალი სადაზღვევო კომპანიების მოგების მიღების ძირითადი წყაროა, ხოლო ფინანსური რესურსი მიღებული სიცოცხლის დაზღვევადი დაზღვევით ფინანსური ბაზრის შევსების მთავარი წყარო. სადაზღვევო რეზერვების მოცულობა განისაზღვრება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ. ვინაიდან დაზღვევა არის რისკული საქმიანობა, რისკის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე აკრძალულია რისკიანი დაზღვევის სახეებზე მოზიდული რეზერვების დაბანდება გრძელვადიან ინვესტიციებში. გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბენეფიციარების საინვესტიციო შემოსავლის უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო ფუნქცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

- სადაზღვევო რეზერვების უკმარისობისას საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (გარდა სიცოცხლისა) გამოიყენება ზარალის დაფარვისათვის;
- საინვესტიციო შემოსავლის ნაწილი შესაძლებელია გამოყენებული იქნას მზღვეველის შეხედულებისამებრ მისი განვითარებისათვის.
- დაზღვევის სხვა შემოსავლები დაკავშირებულია, როგორც სადაზღვევო, ისე არასადაზღვევო საქმიანობასთან.

ბოლო პერიოდში, გლობალურ სადაზღვევო ბაზარზე გამოიყენება არა მხოლოდ სადაზღვევო გაყიდვების, არამედ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც სხვადასხვა ფინანსურ და საკრედიტო თუ სადაზღვევო მომსახურებას მოიცავს. მზღვეველთა დროებით თავისუფალი საშუალებათა აუცილებელი ინვესტირება გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან. მზღვეველები გარდაქმნიან პასიურ ფულად ნაკადს აქტიურ კაპიტალად და ბანკებთან ერთად ხდებიან მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის წყარო. ისინი დროის განსაზღვრულ პერიოდში განკარგავენ საშუალებათა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც

შეიძლება მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით.

ეკონომისტი ნატალია კაკაშვილი ნაშრომში „სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები“- აღნიშნავს, რომ რამდენადაც სადაზღვევო ბიზნესი, როგორც ასეთი, არ ითვალისწინებს სადაზღვევო მომსახურების მოგების მაღალი ნორმის დადგენას ფასების ფორმირებისას, სადაზღვევო კომპანიები იყენებენ შესაძლებლობებს მიიღონ დამატებითი საშუალებები და შემოსავლები დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების ინვესტიციით. ფინანსური წყაროების აკუმულირების უნარი და მათი წარმართვა ეკონომიკის განვითარებისთვის სადაზღვევო ორგანიზაციებს მსხვილ ინვესტორებად გარდაქმნის. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაზღვევა ეკონომიკის სტრატეგიული სექტორია. ამგვარად, დამზღვევთა ინტერესების საერთო თანხა ევროპაში შეადგენს დაახლოებით მშპ-ს 28% (რაც შეესაბამება დაახლოებით 2,2 ტრილიონ ევროს). 90-იანი წლების დასაწყისში ევროპის, იაპონიის და აშშ-ს სადაზღვევო კომპანიები მართავდნენ 40000 მილიარდი დოლარის დაბანდებულ საშუალებებს. ამ საშუალებათა 80%-ზე მეტი უზრუნველყოფილია სიცოცხლის დაზღვევის ოპერაციებით. კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური საფუძველი განსხვავდება სხვა სამეწარმეო საქმიანობისაგან. ეს გამოწვეულია იმით, რომ დამზღვევი ფაქტურად ახდენს მზღვეველის ავანსირებას, ხოლო სადაზღვევო მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება გარკვეული დროის შემდეგ ან შეიძლება საერთოდ არ შედგეს. სადაზღვევო მომსახურების ამგვარი თავისებურება საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა-მზღვეველის განკარგულებაში გარკვეული დროის განმავლობაში არის თავისუფალი ფულადი რესურსები, რომლებიც უნდა იქნეს ინვესტირებული დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

მზღვეველის მიერ ინვესტირება ძირითადად მკაცრად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, რადგან მზღვეველების მხრიდან არ განიხილება კონტროლის შესაძლებლობა, ვინაიდან თვითონ არიან ფულადი რესურსების განმკარგველები და თავიანთ გადახდისუნარიანობას არ შეუქმნიან პრობლემას. სადაზღვევო რეგულაციების განთავსების სახელმწიფო რეგულირების მიზანია საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია.

სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო შესაძლებლობა განისაზღვრება კომპანიის საინვესტიციო პოტენციალით, რომელიც შედგება სადაზღვევო ფონდისა და საკუთარი კაპიტალის ფულადი რესურსებისაგან. საინვესტიციო პოტენციალი არის ფინანსური პოტენციალის ნაწილი, რომელიც დარჩება საქმის წარმოების ხარჯების, სასესხო საშუალებების და სადაზღვევო გადასახდელების გამოკლების შემდეგ. თუ ჩამოთვლილი ხარჯები იქნება მაღალი ხარისხის, ვიდრე საკუთარი კაპიტალი და დაზღვევის ფონდი, მაშინ იქმნება სიტუაცია, რომ ფინანსური პოტენციალის გადიდება იწვევს საინვესტიციო პოტენციალის შემცირებას.

საინვესტიციო შემოსავალი არის მოგების მიღების დამატებითი წყარო, გარდა სადაზღვევო ოპერაციების წარმოებიდან მიღებული მოგებისა. მისგან მიღებული შემოსავალი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ზარალის კომპენსაციისათვის, ასევე დაზღვევის საქმის განვითარებისათვის და კომერციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო პოტენციალზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი:

- დაზღვევის პრემიის მოცულობა
- სადაზღვევო პორტფელის სტრუქტურა
- სადაზღვევო ოპერაციების მომგებიანობა და ზარალიანობა
- სადაზღვევო ფონდების ფორმირების სახელმწიფო რეგულირების პირობები
- სადაზღვევო ხელშეკრულებების ვადები
- საკუთარი საშუალებების მოცულობა.

სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საინვესტიციო სტრატეგიას საკუთარი საშუალებების და სადაზღვევო რეზერვების განთავსებისათვის. ინვესტიციის ობიექტის შერჩევასა და გაითვალისწინება რისკის და შემოსავლიანობის ურთიერთდამოკიდებულება ანუ დაბანდების დივერსიფიკაციის პრინციპის დაცვა. ასე, რომ საშუალებათა ნაწილი შეიძლება მიმართული იქნეს ნაკლებ შემოსავლიან და ნაკლებრისკიან ინვესტიციებში, ხოლო მეორე ნაწილი მაღალშემოსავლიან, მაგრამ მაღალ რისკიან ინვესტიციებში, შედეგად საინვესტიციო რისკი გადანაწილდება სხვადასხვა სახის დაბანდებებს შორის, რაც უზრუნველყოფს მზღვეველის საინვესტიციო პორტფელის მდგრადობას.

ინვესტიციების განხორციელება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: მომგებიანობა, დაბრუნებადობა, ლიკვიდურობა, დივერსიფიკაცია.

საინვესტიციო საქმიანობის შედარებითი დახასიათება სიცოცხლის დაზღვევასა და რისკიან დაზღვევაში.

ინვესტირების ხასიათი	სიცოცხლის დაზღვევა	დაზღვევა, გარდა სიცოცხლისა
გრძელვადიანი	დაზღვევის ხელშეკრულების გრძელვადიანობის გამო საშუალებები შეიძლება მიიმართოს გრძელვადიან ინვესტიციებში.	დაზღვევის ხელშეკრულების მოკლე ვადის გამო ინვესტიციები ატარებს მოკლევადიან ხასიათს.
შემოსავლიანობა	სტაბილური შემოსავლის მიღების აუცილებლობა, რადგან ინვესტირებიდან მოგება განისაზღვრება დაზღვევის პრემიის	შემოსავლიანობაზე ნაკლები მოთხოვნა დაბანდების ლიკვიდურობასთან შედარებით.
ლიკვიდურობა	არ თამაშობს დიდ როლს – ფულად საშუალებებზე მოთხოვნა იფარება გადახდებისა და ინვესტირების ვადების შეთანხმების საფუძველზე	ინვესტირების მნიშვნელოვანი პრინციპი
ინფლაციური პროცესების გათვალისწინება	საჭიროა გათვალისწინებული იქნას ინფლაცია, რადგან ხელშეკრულება არის გრძელვადიანი	დაზღვევის ბევრ სახეზე ინფლაცია შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული
ინვესტიციების მოცულობა	მნიშვნელოვანია, იზრდება მუდმივად კაპიტალიზაციის	ინვესტიციების მოცულობა ცვალებადია.

	ხარჯზე	
--	--------	--

საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემაა აქტივების შერჩევა, რომელიც შეესატყვისება ვალდებულებებს თავისი მოქმედების ვადით. სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის ისე განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა და იყოს კონკურენტუნარიანი, რისთვისაც უნდა შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა.

საინვესტიციო ნაკადი უნდა განხორციელდეს, როგორც:

- შემოდინება - მიღებული აქტივების განთავსებით (ძირითადი ფონდების გაყიდვა, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, პროცენტების მიღება, დივიდენდები და ა.შ.);
- გადინება - დანახარჯები სადაზღვევო კომპანიების აქტივების განთავსებისას, (ძირითად ფონდებში დაბანდება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა, სესხის გაცემა და ა.შ.)

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის გრძელვადიანი და დაგროვებადი საპენსიო დაზღვევას ფინანსური ბაზრის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში წამყვანი ადგილი უჭირავს, რასაც ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებს.

სიცოცხლის დაზღვევით მოზიდული პრემიის წილი სადაზღვევო ბაზარზე

ცხრილი №1

Year	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
Country								
Australia	57.0	56.7	53.6	54.9	61.1	59.2	55.4	52.1
Austria	34.1	35.5	35.3	32.5	31.7
Belgium	65.0	63.2	64.7	57.7	56.5	55.4	54.4	53.7
Canada	35.6	34.0	32.1	32.9	28.7	28.7
Chile	66.0	62.5	65.5	66.5	65.8	68.3	70.4	69.4
Czech Republic	46.0	46.4	46.9	45.7	45.1	41.1	40.6	38.3
Denmark	..	68.2	68.7	95.4	67.7	68.9	68.7	69.1
Estonia	40.6	39.8	33.9	29.3	30.3	31.2	30.0	27.3
Finland	59.5	51.2	51.2	56.8	57.4	58.3	50.6	50.7
France	17.2	63.9	62.1	62.4	64.2	64.2	58.0	55.2
Germany	47.9	45.7	35.5	36.0	35.9	34.0	33.1	32.1
Greece	43.3	43.7	43.2	41.4	49.5	50.5	47.2	50.4
Hungary	53.2	54.6	53.0	54.5	54.8	51.1	49.5	48.2

Source: Organization for Economic co - Operation and development, <https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=INSIND>, insurance indicators

როგორც ცხრილიდან ჩანს ყოველწლიურად სიცოცხლის დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე მზარდია, შესაბამისად იზრდება სადაზღვევო კომპანიების ინვესტირების შესაძლებლობა, რაც ასევე ზრდის ფინანსური ბაზრის რესურსულ პოტენციალს. საქართველოში დაზღვევის დარგის ისტორია დაახლოებით 28 წელს ითვლის. რა მდგომარეობა არის საინვესტიციო ფუნქციის შესრულების მხრივ აჩვენებს საერთო შემოსავლებში საინვესტიციო შემოსავლების წილი.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მონაცემები (2010-2018)წწ

ცხრილი №2

სადაზღვევო ბაზარი	სულ შემოსავლები	საინვესტიციო შემოსავლები, ლარი, სიცოცხლის დაზღვევის ფონდის ინვესტირებიდან	სიცოცხლის დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე
2010	38 854 326	9 341 248	2,77%
2011	20 353 044	6 706 533	5,10%
2012	5 893 620	6 944 339	4,39%
2013	3 205 870	5 746 170	2,67%
2014	44 703 072	4 806 083	5,50%
2015	4 757 925	5 461 982	6,95%
2016	25 903 033	6 743 317	6,46%
2017	26 053 415	8 055 176	5,60%

ცხრილში მოყვანილი მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის წილი ძალიან მცირეა, შესაბამისად დაბალია კომპანიების საინვესტიციო აქტივობაც. საინტერესოა ევროპის ქვეყნების გამოცდილება სიცოცხლის

დაზღვევის ბაზრის განვითარებაში. ისტორია ადასტურებს, რომ ევროპის ქვეყნებში სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის ჩამოყალიბება დაიწყო 1957 წელს რომის შეთანხმების საფუძველზე და დღეისათვის მძლავრი ინდუსტრიაა თითოეულ ქვეყანაში. 1992 წელს დასრულდა სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის ჩამოყალიბება ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციით. ბაზრის განვითარებას სამართლებრივ რეგულირებასთან ერთად დაზღვევის პოლისების რაოდენობრივი ზრდა უნდა უწყობდეს ხელს, სწორედ ამ მიზნით ეროვნულმა მთავრობამ მოსახლეობას წაახალისა დაზღვევის პოლისის შექმნისას შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით, რამაც გაზარდა კომპანიის მათემატიკური რეზერვები და გააჩინა ინვესტირების შესაძლებლობები.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა ხორციელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევის და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში, მათ შორის, საერთაშორისო ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში. დღემდე მოქმედი რეგულაციები მიმართულია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მექანიზმების გამოყენებაზე, ასევე მოქმედებს რეზერვების ფორმირებისა და განთავსების წესი. თუმცა სიცოცხლის დაზღვევის განვითარებისათვის ხელშემწყობი რეგულაციები არ არსებობს. ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია საქართველოში გადახდისუნარიანობის ღირეფტივების დანერგვა. ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წლის 1 იანვრამდე Solvency I-ის ღირეფტივა მოქმედებდა, რომელიც შემდეგ გადავიდნენ Solvency II-ის ღირეფტივაზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა. საქართველოს კანონმდებლობაში ეს ღირეფტივა 2020 წელს უნდა აისახოს. მისი მთავარი მოთხოვნაა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და მყარი გარანტიები. იგი ასევე ადგენს მართვისა და ზედამხედველობის წესებს. ამ ღირეფტივის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ორი ტიპის კაპიტალი:

- მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა (Minimum Capital Requirement):

- კაპიტალის ის მინიმალური ოდენობა, რომლის ქვემოთაც პოლისის მფლობელები დაუცველები იქნებიან მაღალი რისკისგან.

ფინანსური მდგრადობის გაზრდა აამაღლებს მოსახლეობის ნდობას სადაზღვევო კომპანიებისადმი, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სიცოცხლის დაზღვევის გაფართოებისათვის ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2017-2020 წლის პერიოდში სხვა მრავალ საკითხთან ერთად აქცენტს აკეთებს ურთიერთობის ფორმატში სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების განვითარებას მხარეებს შორის. სწორედ ეს შეთანხმება დააყენებს დღის წესრიგში სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის პირობების შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის სტანდარტებთან.

ამგვარად, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის გამსაზღვრელი მაჩვენებლების გაანალიზებამ აჩვენა, რომ სადაზღვევო ოპერაციები, როგორც სადაზღვევო კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყარო, დიდ ადგილს იჭერს კომპანიის შემოსავლებში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობის სწორად წარმართვა, ვინაიდან დაზღვევა რისკული საქმიანობაა და მუდმივად დგას ისეთი რისკის წინაშე, როდესაც დაზღვევის პრემიით ფორმირებული დაზღვევის რეზერვები არასაკმარისი აღმოჩნდება არებული ვალდებულებების დასაფარავად. ამდენად სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობაში გაითვალისწინება სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შედეგიც.

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობაში დიდი წილით სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტით ფორმირებული რეზერვები ღებულობენ მონაწილეობას. ამის დასადაგენად ნაშრომში განხილულია 2008-2018 წწ-ის საინვესტიციო შემოსავლებზე და სიცოცხლის დაზღვევით მიღებული შემოსავლების გავლენის რეგრესული ანალიზი.

სადაზღვევო ბაზრის მონაცემები მოზიდული პრემიისა და საინვესტიციო შემოსავლების ჭრილში
ცხრილი №3

წლები	საინვესტ.შემოს- <i>y</i>	სიცოცხლის სადაზღვ.შემოს- <i>X₁</i>	არასიცოცხლის შემოსავლები <i>X₂</i>	ზარალები <i>X₃</i>	წმინდა მოგება <i>X₄</i>
2008	2,848,576.28	5,583,276	144 934 416	111959500	-8 407 640,95
2009	6,972,499	5,607,560	247 903 626	178557974	17 862 512
2010	12,750,572	5,660,111	291 207 106	179606507	33 951 030
2011	17,400,956	10,668,285	254 826 743	212441608	-22 361 414
2012	11,940,915	11,900,684	284 600 630	247691419	-7 293 168
2013	13,080,687	13,040,036	423 359 578	370 791 251	-3 282 765
2014	24,088,530	13,887,015	262 584 464	178 647 692	40 326 088
2015	8,192,976	18,564,256	227 983 075	166 817 336	2 625 240
2016	10,142,135	20,189,139	261 714 136	186737359	18 856 176
2017	9,219,302		301 505 896	186 737 360	20 341 627

		24,183,999			
2018	15,286,744	32,146,042	354 815 913	231 640 087	42 192 217

მონაცემების მიხედვით ავავით წრფივი მრავლობითი რეგრესიის მოდელი, შევქმნათ მრავლობითი რეგრესიის სტანდარტიზირებული მოდელი და მიღებული კოეფიციენტებით შევათასოთ თითოეული ფაქტორის შედეგზე გავლენა. გაანგარიშებები წარმოდგენილია ექსელის გამოყენებით:

$$Y = \alpha + \beta_1 X_1 + \beta_2 X_2 + \beta_3 X_3 + \beta_4 X_4$$

რეგრესიის მოდელი:

	<i>2848576</i>	<i>5583276</i>	<i>144934416</i>	<i>111959500</i>	<i>-8407640</i>
2848576	1				
5583276	0,00982734	1			
144934416	0,11145081	0,267054754	1		
111959500	0,08947258	0,00681644	0,867720376	1	
-8407640	0,21055224	0,328727918	0,061494932	0,3723817	1

SUMMARY	
OUTPUT	
<i>Regression</i>	
<i>Statistics</i>	
Multiple R	0,39121181
R Square	0,15304668
Adjusted R	
Square	-0,52451597
Standard	6249340,41

Error	
Observations	10

ANOVA

	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>Significance F</i>
Regression	4	3,5286E+13	8,82151E+12	0,2258783	0,91274715
Residual	5	1,95271E+14	3,90543E+13		
Total	9	2,30557E+14			

	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>
Intercept	13989281,8	12019374,27	1,163894346	0,296981	-16907503	44886067
5583276	0,02449932	0,298645669	0,082034752	0,9378018	-0,7431938	0,7921925
144934416	-0,09187569	0,145225242	0,632642689	0,5547655	-0,4651891	0,2814377
111959500	0,10648623	0,145666029	0,731029933	0,4975644	-0,2679602	0,4809327
-8407640	0,17402484	0,191804829	0,907301638	0,40585	-0,3190252	0,6670748

RESIDUAL		
OUTPUT		
	<i>Predicted</i>	
<i>Observation</i>	<i>2848576</i>	<i>Residuals</i>
1	13472833	-6500333,8
2	12407039	343532,75
3	9568929,2	7832026,8
4	13239494	-1298579,3
5	14325180	-1244493,3

6	16245636	7842894,4
7	11718597	-3525621,4
8	13605136	-3463000,6
9	10305617	-1086315,1
10	14186855	1099889,4

მივიღეთ კორელაციის შემდეგი შედეგები:

$$r_{yx1} = 0.010; \quad r_{yx2} = 0.011; \quad r_{yx3} = 0.10; \quad r_{yx4} = 0.21;$$

$$r_{x1 \ x2} = 0.27; \quad r_{x1 \ x3} = 0.007; \quad r_{x1 \ x4} = 0.33$$

$$r_{x2 \ x3} = 0.87; \quad r_{x2 \ x4} = 0.06;$$

$$r_{x3 \ x4} = 0.37$$

მიღებული შედეგებით ჩანს, რომ სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო პოტენციალსა და შემოსავალზე გავლენა ყველა ფაქტორის მიხედვით თითქმის არ არსებობს, თუმცა თეორიულად საინვესტიციო პოტენციალს ქმნის მიღებული შემოსავლები და განეული ხარჯები ზარალების სახით. კორელაციის მაღალი კოეფიციენტი აჩვენა ორ ფაქტორს შორის დამოკიდებულება, კერძოდ არასიცოცხლის დაზღვევის შემოსავლებსა და ანაზღაურებულ ზარალებს შორის (0.87). მაღალი დამოკიდებულება ადასტურებს საინვესტიციო პოტენციალის ფორმირებაში არასიცოცხლის დაზღვევის შემოსავლების მცირე წილს, რადგან მისი დიდი ნაწილი მიიმართება ზარალების ანაზღაურებაზე.

1. რეგრესიის განტოლება ღებულობს სახეს:

$$Y = 13989281,8 + 0,024 X_1 - 0,0918 X_2 + 0,1064 X_3 + 0,1740 X_4$$

მოდელში მოცემული კოეფიციენტებიდან ჩანს, რომ წმინდა მოგება არის ყველაზე მეტად მოქმედი ფაქტორი, თუმცა 0,17 ბევრად ნაკლებია 0.60-ზე, ამიტომაც

მოცემული მოდელით ფაქტორებს შორის დამოკიდებულება არ არის ახსნადი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ფაქტორთა სხვა ჯგუფის შერჩევა. მიზეზი, რომლითაც ვერ გამოვლინდა ფაქტორებს შორის სანდო დამოკიდებულება საქართველოში აღრიცხვის პრობლემა შეიძლება იყოს.

მიღებულმა შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ სადაზღვევო კომპანიის მდგრადობა უნდა შეფასდეს გადახდისუნარიანობის შეფასების solvency-II მოდელით. ამრიგად, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მდგენელი საინვესტიციო შემოსავალი ვერ ასრულებს კომპანიის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს. გამომდინარე აქედან, სამაგისტრო ნაშრომში აუცილებლად მივიჩნიეთ დაზღვევის რეზერვების ღრმა ანალიზის ჩატარება, რაც საშუალებას მოგვცემდა გადახდისუნარიანობის შეფასების ევროპული დირექტივის მიხედვით გამოგვეკვითა ის პრობლემები, რომელიც არსებობს ქართულ სადაზღვევო ბაზარზე.


1.3. სადაზღვევო რეზერვების როლი სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაში

სადაზღვევო ორგანიზაციები ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ქმნიან დაზღვევის რეზერვებს. დაზღვევის რეზერვები – ეს არის მზღვეველის ყველა გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე ჯამური ვალდებულებების კონკრეტული სიდიდე რომელიმე საანგარიშო პერიოდისთვის. სადაზღვევო რეზერვები ფორმირდება სადაზღვევო შენატანებით. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 35/01 2010 წლის 9 მარტი ქ. თბილისი სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე დაზღვევის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ დადგენილი პირობებით სადაზღვევო რეზერვების სახეობებია:


1) ზარალის რეზერვი – არასიცოცხლისა და სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის (გარდა სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა):

- ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი;
 - ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი;
 - გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.
- 2) სადაზღვევო რეზერვი სიცოცხლის დაზღვევის მაკროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი, მათემატიკური რეზერვი);
 - 3) არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვი – საპენსიო ვალდებულებები.
 - 4) გამაფრთხილებელი ღონისძიებების რეზერვი;
 - 5) კატასტროფული რისკების რეზერვი და სხვა.

დაზღვევის რეზერვების მოცულობა გამოითვლება საანგარიშო პერიოდისათვის კომპანიის ფინანსური შედეგების განსაზღვრისას და მისი გაანგარიშების საფუძველია საანგარიშო პერიოდში შემოსული ბრუტო-პრემია, ბროკერების საკომისიო გადასახდელებისა და გამაფრთხილებელი ღონისძიებების რეზერვების გამოკლებით.



დაზღვევის რეზერვები



ჩვეულებრივი საწარმოო ციკლი მოიცავს პროდუქციის წარმოების ხარჯებს, შემდეგ პროდუქცია იყიდება და ხარჯები იფარება, ფორმირდება მოგება, როდესაც შემოსავლები გადაჭარბებს ხარჯებს. დაზღვევაში სადაზღვევო პროდუქტი ჯერ იყიდება, ხოლო შემდეგ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გადაიხდება სადაზღვევო შენატონები და გაიწევა საქმის წარმოების ხარჯები. სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები არ შეიძლება ჩაითვალოს კომპანიის მოგებად, რადგან ეს საშუალებები უნდა ჩაირიცხოს რეზერვებში, მომავალი გადახდებისა და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ეკონომიკაში ძირითად განმსაზღვრელ როლს ასრულებს დაზღვევის რეზერვები. დაზღვევის ყველა ხელშეკრულება რომ ფორმირდებოდეს ერთდროულად წლის დასაწყისში და მთავრდებოდეს წლის ბოლოს, მოგების გამოთვლა მარტივი იქნებოდა. მაგრამ სიტუაცია სხვაგვარადაა, როცა ხელშეკრულებები ფორმდება უწყვეტად წლის განმავლობაში და მათი მოქმედების

ვადა ყოველთვის ერთნაირი არ არის. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სადაზღვევო წელი, რომელიც იწყება ყოველი ხელშეკრულების დადების მომენტიდან. სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის შედეგები ფასდება კალენდარული წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში ყოველკვარტალურად. დაზღვევის პრემიის იმ ნაწილის შეფასებისათვის, რომელიც განიხილება, როგორც მოცემული პერიოდის შემოსავალი, ყოველ ხელშეკრულებაზე შემოღებულია ცნება - გამოუმუშავებული პრემია. დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაციის ტერმინოლოგიით გამოუმუშავებული პრემია არის პრემიის ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვევო დაცვას.

გამომუშავებული პრემიის რეზერვი წარმოადგენს სადაზღვევო/ გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს (მიუხედავად იმისა, გადახდილი არის თუ არა მზღვეველისათვის პრემია), რომელიც მიეკუთვნება მომავალ პერიოდებს.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი არის საანგარიშო პერიოდის ბოლოს მზღვეველის მიერ შეუსრულებელი ან არასრულად შესრულებული ვალდებულებებზე გადახდების განხორციელებისათვის, საჭირო თანხა, რომელიც შეიცავს აგრეთვე ექსპერტების, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯებს. ამ სახის რეზერვების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში მზღვეველის მიერ დაურეგულირებელი ზარალის მოცულობა, რომელიც ექვემდებარება გადახდას; იმ სადაზღვევო შემთხვევებზე, რომლის დადგომის ფაქტი დადგენილია კანონმდებლობით და გაცხადებულია მზღვეველზე; ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის შექმნა სავალდებულოა ცალკეული სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის ფარგლებში შემოსული ზარალის ანაზღაურებაზე განცხადების მიღებისთანავე. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებული ზარალების რეზერვის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ მზღვეველს მიღებული აქვს განაცხადი სადაზღვევო პოლისით დაფარული შემთხვევის დადგომის თაობაზე, დადგენილი აქვს ზარალის საბოლოო ოდენობა და მიღებული აქვს გადანყვეტილება, რომ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი იქმნება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობით;

ბ) თუ მზღვეველს მიღებული აქვს განაცხადი სადაზღვევო პოლისით დაფარული შემთხვევის დადგომის თაობაზე, მაგრამ გადანყვეტილება ზარალის საბოლოო ოდენობაზე ან საერთოდ მის ანაზღაურებაზე ჯერ არ არის მიღებული, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა განისაზღვრება განცხადებული ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებში (საბუთებში) აღნიშნული ოდენობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ზარალის საბოლოო ოდენობის შესახებ, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა შეადგენს პოლისით დაფარული შემთხვევით გამოწვეული ზარალის გონივრულ მაქსიმალურ ოდენობას (არა უმეტეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისის სადაზღვევო თანხისა), რომელიც ეყრდნობა ამ სახეობისათვის დამახასიათებელ საშუალო მაჩვენებლებს და სადაზღვევო ორგანიზაციაში არსებულ სტატისტიკას;

გაუცხადებელი ზარალის რეზერვის გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია:

1. საანგარიშო პერიოდში გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება;
 2. გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის სიდიდე;
 3. ბრუტო-პრემიის ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში მოქმედ ხელშეკრულებებს (გამომუშავებული სადაზღვევო პრემია);
 4. სხვა მაჩვენებლები.
- მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშება და შექმნა ხორციელდება საანგარიშო წლის ბოლოს. აღნიშნული რეზერვის ოდენობის შემცირება საანგარიშო წლის განმავლობაში ხორციელდება დაზღვევის სახეობების

მიხედვით, მხოლოდ წინა საანგარიშო წელს/წლებში მომხდარი ზარალების ანაზღაურების მიზნით. მისი გამოთვლისას საბაზისო პრემიად მიიჩნევა:

ა) არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული ნეტო პრემია (ერთ წელზე მეტი პერიოდით გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩათვლით);

ბ) სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული ნეტო პრემიის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ერთ სადაზღვევო წელს. ამასთან, ამ ხელშეკრულებებისათვის/პოლისებისათვის მომდევნო სადაზღვევო წლებში მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მოზიდული ნეტო პრემიის შესაბამისი ნაწილები.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის ოდენობა შეადგენს დაზღვევის ყველა სახეობისათვის საბაზისო პრემიის 5 (ხუთი) პროცენტს. გადამზღვეველის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში არ გამოანგარიშდება.

გამათრთხილებელი ღონისძიებების რეზერვი დანიშნულია იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც დაზღვეული ობიექტის სადაზღვევო შემთხვევისაგან დაცვისათვის ტარდება. ეს რეზერვი ფორმირდება საანგარიშო პერიოდში კომპანიაში შემოსული დაზღვევის პრემიისაგან, მისი არაუმეტეს 15%-ის ფარგლებში. რეზერვის მოცულობა იზრდება საანგარიშო პერიოდის დასაწყისში წინა წლის გამათრთხილებელი ღონისძიებების რეზერვის სიდიდითა და მცირდება საანგარიშო პერიოდში ამ ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯებით.

სიცოცხლის დაზღვევის რეზერვს მათემატიკური რეზერვი ეწოდება. რეზერვის მოცულობის გამოთვლის ბაზაა საანგარიშო პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე სადაზღვევო კომპანიაში შემოსული დაზღვევის ნეტო-პრემია.

სიცოცხლის დაზღვევის რეზერვის დათვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სადაზღვევო ხელშეკრულების შემდეგი სპეციფიკური პირობები:

- ა) სადაზღვევო შემთხვევების დადგომით გამოწვეული მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებები;
- ბ) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე აღრე შეწყვეტის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გადასახდელი თანხები;
- გ) სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის მზღვეველის მიერ დაწესებული დამატებით ფულადი ანაზღაურება (ჯილდოს, წახალისების სახით და სხვა);
- დ) მხარეების მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების პირობების შეცვლის უფლება.

საპენსიო დაზღვევის რეზერვი/საპენსიო ვალდებულება იქმნება თითოეული საპენსიო სქემისათვის, თითოეულ მონაწილესთან მიმართებაში არსებული საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულებისათვის, ამ ხელშეკრულების ყველა პირობის გათვალისწინებით.

1. საპენსიო დაზღვევის რეზერვის ოდენობა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია საპენსიო შენატანის ოდენობა, შეესაბამება ჯამურ საპენსიო ვალდებულებას მონაწილეების მიმართ.

2. საპენსიო დაზღვევის რეზერვის დათვლა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა:

ა) საპენსიო დაზღვევის რეზერვის დათვლა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა ხორციელდება დათვლის „მოსალოდნელი“ (პერსპექტიული) მეთოდით და რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სადაზღვევო რეზერვის შექმნის მომენტისათვის აქტუარული მეთოდებით დათვლილი საპენსიო ვალდებულებების ღირებულებას;

ბ) დაშვებულია მზღვეველის მიერ რეტროსპექტული დათვლის მეთოდის გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც საპენსიო შენატანების ოდენობა ან/და მათი გადახდის პერიოდულობა არ არის დაფიქსირებული საპენსიო სქემის პირობებში.

3. საპენსიო დაზღვევის რეგერვის ოდენობის ასახვა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ შესაბამის ფინანსურ და სტატისტიკურ ფორმებში, შესაბამის წესში მითითებული პრინციპების დაცვით.

დაზღვევის რეგერვები შეიძლება განთავსებული იქნას შემდეგ აქტივებში:

1. სახელმწიფო და მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებში;
2. ბანკის დეპოზიტურ სერთიფიკატებში;
3. საბანკო ანგარიშებზე განთავსება, მათ შორის უცხოურ ვალუტაში;
4. წარმოება – ორგანიზაციების (გარდა სადაზღვევო კომპანიებისა) აქციებში;
5. ამხანაგობებსა და შ.პ.ს-ში წილები;
6. საინვესტიციო ფონდებში საინვესტიციო პაის სახით დაბანდება;

4. მზღვეველი და/ან სქემის დამფუძნებელი ვალდებული არიან შეიმუშავონ ორგანიზაციის საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესის მოთხოვნების ჯეროვნად შესრულებას. საინვესტიციო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს მზღვეველის და/ან სქემის დამფუძნებლის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას და მათ მიერ სადაზღვევო/საპენსიო ხელშეკრულებათა საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულებას. სადაზღვევო რეგერვების განთავსება და ინვესტირება უნდა მოხდეს აქტივების დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის პრინციპების საფუძველზე. საინვესტიციო პოლიტიკა ასევე უნდა ითვალისწინებდეს სადაზღვევო რეგერვების განთავსებისა და ინვესტირების ვადების დარეგულირებას.

5. მზღვეველი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებული არიან დაიცვან ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები საქმიანობის ყველა ეტაპზე და ლიცენზიის და/ან რეგისტრაციის გაუქმების შემდგომაც, სანამ სრულად არ შესრულდება სადაზღვევო და/ან არასახელმწიფო საპენსიო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

სამაგისტრო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების რეგერვების მდგომარეობა მათი სტრუქტურა და განთავსების ობიექტები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს

ჩამოვაცალიბოთ წინადადებები კომპანიის მიერ ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით.

თავი 2: სადაზღვევო კომპანიების სამართლებრივი რეგულირება

2.1. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის სამართლებრივი საფუძვლები ევროპის ქვეყნებში

სადაზღვევო საქმიანობის რეგულირებას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს ევროპაში. ეს პროცესი იწყება 1946 წლიდან მას შემდეგ ბევრი ცვლილებები მოხდა, თანდათან დაიხვეწა გადახდისუნარიანობის გაანგარიშების მეთოდები, მოდელეები, რომელიც შესაბამისობაში მოდიოდა განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ბაზრის მოთხოვნებთან. გადახდისუნარიანობის გაანგარიშების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია გადახდისუნარიანობის მარჟის შემოღება, რომლის სხვადასხვა მნიშვნელობა ბაზრის სხვადასხვა მდგომარეობაზე მიუთითებს. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის მარჟის პირველი კონცეფცია აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში 1946 წელს. რომლის თანახმად კომპანიებში, რომლებიც სპეციალიზდებიან სადაზღვევო მომსახურებაზე, სიცოცხლის დაზღვევის გარდა, საერთო აქტივები საერთო ვალდებულებებს უნდა აღემატებოდნენ, სადაზღვევო პრემიის სიდიდის 10 პროცენტის ოდენობით. Sigma-ს მონაცემების მიხედვით, სადაზღვევო სექტორში სიცოცხლის დაზღვევის გარდა, 1978 წლიდან 1994 წლამდე, მთელ მსოფლიოში 648 სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანია გადახდისუნარო გახდა და შეინიშნებოდა ამ ტენდენციის გაძლიერება. მხოლოდ ერთ 1992 წელს გამოვლინდა გაკოტრების 80-ზე მეტი შემთხვევა. გადახდისუნარიანობის რისკი მით უფრო მეტია, რაც უფრო სუსტად რეგულირდება ბაზარი. ასე, მაგალითად, მკაცრი წესების მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა შვეიცია, არ არის დაფიქსირებული მზღვეველთა გადახდისუნარობის არც ერთი შემთხვევა.

„სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შესახებ“, ევროკავშირის კონცეფციის პირველი საკოორდინაციო დირექტივის თანახმად, 1973 წლის 24

ივლისიდან ყოველი სადაზღვევო კომპანია, სიცოცხლის დამზღვევი სადაზღვევო კომპანიების გარდა, ვალდებულია ჰქონდეს:

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისი ტექნიკური რეზერვები. ამ რეზერვების სიდიდე და მათი განთავსების წესი განისაზღვრება დამოუკიდებლად მონაწილე ქვეყნის მიერ.

2. გადახდისუნარიანობის რეზერვი (მარჟა), როგორც დამატებითი ფინანსური გარანტი, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ვალდებულებისგან. ღირეფტივაში მითითებულია, რომ აღებული ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, ერთი ზომის სადაზღვევო კომპანიები ერთნაირ პირობებში უნდა იყვნენ კონკურენციის თვალსაზრისით, აუცილებელია, ასევე, გათვალისწინებულ იქნას, რომ რეზერვი¹ უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს გარიგებების საერთო სიდიდეს და განისაზღვროს საიმედოობის ორი ინდექსის საფუძველზე, რომელთაგან ერთი ემყარება შემოსულ პრემიებს, ხოლო მეორე - გადახდილ სადაზღვევო თანხებს.

3. საგარანტიო ფონდი, რომელიც შედგება თავისუფალი ქონების, ვალდებულებებისგან გადახდისუნარიანობის რეზერვის 1/3-მდე სიდიდით. ფონდი იქმნება იმისათვის, რომ გადახდისუნარიანობის რეზერვი საქმიანობის პროცესში ზღვარზე დაბლა არ დაეშვას, რაც სადაზღვევო ორგანიზაციის ფინანსურ შედეგებს საფრთხეს უქადის. იმისათვის, რომ გადახდისუნარიანობის რეზერვი გაითვალისწინოს ევროკავშირის ქვეყნების მეთოდის მიხედვით, უნდა გაითვალისწინოს გადახდისუნარიანობის ფაქტური რეზერვი, ამის შემდეგ კი მოთხოვნილი (ნორმატიული) დონე.

1

კაკაშვილი, ნ.ბიზნესი და კანონმდებლობა (2010). გადახდისუნარიანობის სპეციფიკა სადაზღვევო საქმიანობაში.

”სადაზღვევო საქმიანობაში გადახდისუნარიანობის სპეციფიკის შესახებ” ინფორმაცია განხილული აქვს თსუ-ს ეკონომიკის აკადემიურ დოქტორს ნატო კაკაშვილს, რომლის მიხედვით გადახდისუნარიანობის პრინციპის თანახმად, სადაზღვევო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, გადახდისუნარიანობის რისკი იყოს კონტროლირებადი. 1980-იან წლებში ჯერ ფინეთში და შემდგომ დიდ ბრიტანეთში შეიქმნა „Finnish Solvency Working Party“ და „British Solvency Working Party“, რომელთა მიზანი იყო სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შესწავლა. ამ ჯგუფების ამოცანა გახლდათ სადაზღვევო პროცესის მოდელების შექმნა და ამ მოდელების მეთოდის შესწავლა. სწორედ ამ დირექტივების საფუძველზე შემდგომში შეიქმნა თანამედროვე ევროპული კანონმდებლობა, შემუშავდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ახალი სტანდარტები „Finnish Solvency Working Party“, „British Solvency Working Party“-ის საფუძველზე. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ევროკავშირის საზღვრებში მოქმედებდა კონსეფცია, რომლის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობის დანყებადღე:

- სანესდებო კაპიტალის გადახდილი ნაწილი არ უნდა ყოფილიყო გარანტირებული ფონდის სიდიდებზე ნაკლები;
- გადახდისუნარიანობის რეზერვის 1/3 უნდა შეადგენდეს მინიმალურ საგარანტიო ფონდს.

როგორც მზღვეველთა გადახდისუნარიანობაზე კონტროლი საშუალებას აძლევს საზედამხედველო ორგანოს, ადრეულ სტადიაზე გამოავლინოს პრობლემური შემთხვევები და ამით უკეთ დაიცვას დამზღვევები. Solvency-ის მიერ 2002 წელს მიღებულ იქნა მოთხოვნები, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წელს. ამ მოთხოვნების საფუძველზე მიღებული ახალი კანონით გაიზარდა მინიმალური საგარანტიო ფონდი, დაზღვევაში გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის გათვლის ზღვრული მნიშვნელობა (სიცოცხლის დაზღვევის გარდა). შეიცვალა ლიკვიდური კაპიტალის სტრუქტურა, გაძლიერდა კონტროლი მზღვეველებზე, ვინაიდან დადგინდა გადახდისუნარიანობისადმი მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა დროის ყოველ მომენტში და (არა მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტში).

გაფართოვდა საზედამხედველო ორგანოების უფლებები, მზღვეველის საქმიანობაში ჩარევის თვალსაზრისით. Solvency ავალდებულებს მზღვეველებს, გამოყონ გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟა და მინიმალური საგარანტიო ფონდი¹”

ევროკავშირის პირველი საკოორდინაციო ღირეექტივებია:

1. თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია არ იცავს საბჭოს ღირეექტივების მოთხოვნებს, ტექნიკური რეზერვების ფორმირების შესახებ, მაშინ საზედამხედველო ორგანოს შეუძლია, აუკრძალოს მას აქტივების თავისუფალი გამოყენება;
2. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის აღდგენის მიზნით, თუ გადახდისუნარიანობის რეზერვი ვერ აღწევს დადგენილი მინიმუმის დონეს, სადაზღვევო ზედამხედველობა მოითხოვს მაკორექტირებელი ღონისძიებების პროგრამების შედგენას და წარდგენას;
3. თუ გადახდისუნარიანობის რეზერვის სიდიდე ვერ აღწევს მინიმალური საგარანტიო ფონდის სიდიდეს, ზედამხედველობის ორგანო სადაზღვევო კომპანიისგან მოითხოვს დაფინანსების მოკლევადიანი გეგმის შედგენას, რომლის განხილვის შემდეგ ზედამხედველობას შეუძლია შეზღუდოს ანდა აკრძალოს სადაზღვევო კომპანიის აქტივების თავისუფალი გამოყენება;
4. მათ შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც შეძლებს დამზღვევების ინტერესების დაცვას. ევროკავშირის პირველი ღირეექტივების მე-20 მუხლი არეგულირებს ასევე უცხოური სადაზღვევო ორგანოების ფინანსური მდგომარეობის კონტროლის წესს, რომელიც მოქმედებს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.

სოლვენსი II არის სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შეფასების პროგრამა, რომლის 2016 წლის 1 იანვრიდან ატარებს კომპანიების მონიტორინგს ევროპის 28 ქვეყანაში, მათ შორის დიდი ბრიტანეთში. ის მოიცავს დაზღვევის 14 ღირეექტივას.²

²

კაკაშვილი, ნ. ბიზნესი და კანონმდებლობა(2010)#23. გადახდისუნარიანობის სპეციფიკა სადაზღვევო საქმიანობაში.

Solvency II-ის ძირითადი მიზანია: სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელთა დაცვა.

მოდერნიზებული ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს: „ზედამხედველობის პროცესის განხილვა“, ყურადღება მიექცევა რისკების პროფილის მიხედვით კაპიტალის დაცვას და მათი მართვის ხარისხს. ევროკავშირის ბაზრის ინტეგრაციის გაძლიერება: საზედამხედველო რეჟიმების ჰარმონიზაციის გზით. ევროკავშირის ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

Solvency II - ეს არ არის მხოლოდ კაპიტალი. ეს არის ნორმატიული მოთხოვნების კომპლექსური პროგრამა მზღვევლებისათვის და მოიცავს ამორტიზაციას, კორპორატიულ მართვას, ზედამხედველობის ანგარიშგებას, ინფორმაციის საჭაროობას და რისკების შეფასებასა და მართვას, ასევე გადახდისუნარიანობისა და რეზერვების მართვას. Solvency II პროგრამა იყოფა სამ ნაწილად:

პილარი I

ფინანსური მოთხოვნები

ორი კრიტერიუმი: 1. გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნა (SCR); 2. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა (MCR). SCR(გკმ) გაიანგარიშება სტანდარტული ფორმულის გამოყენებით ან, მარეგულირებელი ორგანოების შიდა მოდელის მიხედვით; MCR(კმმ) გამოითვლება, როგორც განსაზღვრული ცვლადების წრფივი ფუნქცია: ის არ უნდა იყოს 25%-ზე დაბალი და არ უნდა გადაჭარბოს მზღვეველის გადახდისუნარიანობის კაპიტალის 45%-ს.

არსებობს აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების შეთანხმებული სტანდარტები.

პილარი II

მართვა და ზედამხედველობა

1. რისკ მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემა;
2. რისკებისა და გადახდისუნარიანობის თვითშეფასება;
3. საკონტროლო ზედამხედველობა და ინტერვენცია.

პილარი III

ანგარიშგება და საჯაროობა

1. მზღვეველები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ მონაცემები მათ საქმიანობაში მოსალოდნელი რისკების, მათი მართვის და კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ;
2. ინფრომაციის გამჭვირვალობა და ღიაობა მიზნად ისახავს ბრძოლას საბაზრო ძალების წინააღმდეგ და დარგში დისციპლინის დამყარებას.

Solvency II-როგორც კანონმდებლობა ძალაში შევიდა 2001 წლიდან, ის არის როგორც სტანდარტული სტრუქტურა წოდებული „ლამფალუსის პროცესად“, რომელსაც ეწოდა ევროკავშირის საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე ლამფალუსის პატივსაცემად, რომელსაც აქვს ოთხი დონე:

დონე I- პირველადი კანონმდებლობა

განსაზღვრავს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს. ის არის გადახდისუნარიანობის ჩარჩო დირექტივა, რომელიც დასათაურებულია დაზღვევის და გადაზღვევის დირექტივის სახელწოდებით. ჩარჩო დირექტივა მიღებული იქნა 2009 წელს, ხოლო ზოგიერთი დებულება შეცვლილი იქნა ომნიბუს II დირექტივით, რომელიც კომისიას აძლევს შესაძლებლობას მიიღოს solvency II დირექტივით დაზარალებული ფირმებისათვის მეტად მოქნილი გარდამავალი დებულებები, რითაც ფირმებს ეძლევათ უფლება ისარგებლონ solvency II - ის მოთხოვნებით, ნაცვლად solvency II - ისა. თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები გარდამავალ დებულებებში. „ombinus II“ ასევე აფართოებს ევროპის სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო ფონდების მმართველობის უფლებამოსილებებს. ეს დირექტივა ცვლის solvency II - ის დაზღვევისა და გადაზღვევის 14 დირექტივას და ავალდებულებს ევროპის 28 ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას.

დონე II - ღონისძიებათა რეალიზაცია

solvency II - ის მოთხოვნები განერილია 2014 წლის დელეგირებულ წესში, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წელს. ეს მოთხოვნები პირდაპირ გავლენას ახდენენ ევროკავშირის ქვეყნებზე, ამიტომ არ არის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება.

დონე III - სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა გამოყენება ხდება სადაზღვევო კომპანიების ზედამხედველობისათვის, არ წარმოადგენს სადამსჯელო ღონისძიებებს, არამედ მათი გამოყენებით მიიღწევა ცალკეული კომპანიის მიერ წესების დაცვის ხარისხის გაუმჯობესება.

დონე IV - შედეგი

შემუშავებული დირექტივების წესების რეალიზაციიდან განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ ევროკომისია ახდენს ევროკავშირის ქვეყნების მიერ წესების დაცვის მონიტორინგს. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება დარღვევები კომისია შეიმუშავებს დასჯის წესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მზღვეველებმა მიიღეს მონაწილეობა დირექტივების შემუშავებაში, ისინი მაინც აღნიშნავენ, რომ დირექტივის ზოგიერთი დებულების შესრულება გამოიწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს, რაც ერთიანად დააზარალებს როგორც მზღვეველს, ასევე დამზღვევსაც. კერძოდ, ახალი წესები გაუმართლებლად ზრდის გრძელვადიანი ინვესტიციების ღირებულებას. ეს ამცირებს მზღვეველის უნარს განახორციელოს ისეთი ინვესტიციები, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა სადაზღვევო პოლისის მფლობელებისათვის და შესაბამისად ევროპის ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობისათვის. მომავლის საიმედოდ უნდა ითქვას, რომ საზედამხედველო ორგანოებისა და დირექტივის შემუშავებლების ერთობლივი მოქმედებით ხდება „Solvency II“-ის კორექტირება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ამ წესების დაცვით დაგეგმილი და გაუთვალისწინებელი შედეგების მართვა. Solvency II, როგორც ზემოთ აღინიშნა ემსახურება სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის გაუმჯობესებას მისი აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციით. მაგრამ პრობლემა იქმნება სიცოცხლის დაზღვევის კომპანიებისათვის,

იმ მოსაზრებით, რომ დაზღვევის თანხის გარანტირებული გადახდა არის აუცილებელი. ამავე დროს არ ემთხვევა ინვესტიციებისა და გრძელვადიანი აქტივების ხანგრძლივობა ერთმანეთს.

ამრიგად, ევროპის სადაზღვევო ბაზარი, მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში ისწრაფვის სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ამალღებისაკენ, თუმცა საქმიანობის რისკული ხასიათიდან გამომდინარე, მიღებული ღირეექტივები ექვემდებარება ცვლილებებს, რომელთა დღის წესრიგში დაყენება მხოლოდ დამდგარი არახელსაყრელი მოვლენების შემდეგ ხდება აუცილებელი, რაც გარკვეულწილად აზარალებს კომპანიებს და ქვეყნის ეკონომიკასაც.

2.2 სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

სადაზღვევო კომპანიათა მომგებიანობისა და გადახდისუნარიანობის ხელშეწყობისათვის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში აუცილებელია მისი სამართლებრივი რეგულირება, რომლითაც სადაზღვევო კომპანიებს დაუდგინდებათ პირობები, რომელთა შესრულება აუცილებელია და შესაბამისად ადვილად და სისტემატიურადაც შეძლებენ გადახდისუნარიანობის კონტროლს და შენარჩუნებას. 1997 წლის 2 მაისს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაზღვევის შესახებ“. რომლის მიღებიდანაც იწყება სისტემის სამართლებრივი რეგულირება. ეს კანონი ახდენს სადაზღვევო ბაზრის რეგულირებას. 1997 წლამდე სადაზღვევო ბაზარზე არ იყო სამართლებრივი რეგულირება და ამ დროიდან დღეს სადაზღვევო ბაზარზე მხოლოდ ერთი კომპანიაა შემორჩენილი.

ეს კანონი აწესრიგებდა სადაზღვევო საქმიანობას, განსაზღვრავდა მასში მონაწილე მხარეების უფლება მოვალეობებს, საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ³ განსაზღვრავს დაზღვევასთან დაკავშირებულ ცნებებს, დაზღვევაში მონაწილე მხარეებს და მათ უფლება მოვალეობებს, განსაზღვრავს თუ დაზღვევის რა ფორმები გვაქვს და დაზღვევის სფეროში მოღვაწე უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის უფლება მოვალეობებს, თუ რა მოყვება სავალდებულო დაზღვევის წესების დარღვევას, მასში ერთი თავი მიეკუთვნება კომპანიების ფინანსურ მდგრალობას, იგი ადგენს ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის პირობებს და ადგენს ლიმიტებს და ნორმატივებს სადაზღვევო სფეროში მონაწილე პირებისთვის. განსაზღვრავს ლიცენზიების გაცემასთან და გაუქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდისა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს სამსახური. ერთ-ერთი თავი დათმობილი აქვს მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფას. ეს კანონი წინგადადგმული ნაბიჯია სადაზღვევო საქმიანობის სტაბილურობის და განვითარებისათვის, თუმცა ის სრულად ვერ შეესაბამებოდა ბაზრის განვითარების აუცილებელ პირობებს, არ იყო სრულყოფილი, ამიტომაც წლების განმავლობაში ხშირად ხდებოდა კანონში ცვლილებები, ხდებოდა უფრო მეტი კონკრეტული და თანდათან ხდებოდა მისი შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან. სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა საბაზრო ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში ხორციელდება. ეს გამომწვეულია იმით, რომ დაზღვევას განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკაში და ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის.

ასევე იქმნება სადაზღვევო კომპანიათა საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. განისაზღვრება მინიმალური კაპიტალის სიდიდე (1997 წლის 10 000 ლარი), რომელიც იზრდება წლების განმავლობაში, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება ბრძანებით - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N 27

³ საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884>)

„საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ". საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ბრძანება N 27 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან იზრდება საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობა: სიცოცხლის დაზღვევა - 4 200 000 ლარი, არასიცოცხლის დაზღვევა - 4 200 000 ლარი და გადაზღვევა-4 200 000 ლარი.

ინყება სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური, მოგვიანებით – ფინანსური მონაცემების აღრიცხვა. ყოველწლიურად დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ხდება სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიების საქმიანობის, მათი გადახდისუნარიანობის, შემოსავლების, აქტივების, კაპიტალის ანაზღაურებული ზარალის ოდენობათა და სხვა ფინანსური მაჩვენებლების შესწავლა, გაანალიზება, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიების ფინანსური მდგომარეობა. ეს პროცესი დადებითად აისახება სადაზღვევო ბაზარზე რადგანაც ყოველწლიური შემოწმება და აღრიცხვა საშუალებას იძლევა სტატისტიკაში შედარდეს კომპანიის მდგომარეობა ყოველი წლის მიხედვით და იმ შემთხვევაში თუ შეინიშნება დაღმავლობის ტენდენციები დაიგეგმოს შესაბამისი სამოქმედო გეგმები მის აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია რომ 1997 წლიდან, როცა დაიწყო სამართლებრივი რეგულირება ამ დროიდან დაიწყო სადაზღვევო სისტემის ფორმირების ახალი ეტაპი, რომელიც მიმდინარეობდა ორი მიმართულებით.

პირველი - ის ითვალისწინებდა სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ფორმირება, სრულყოფას.

მეორე - სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო კომპანიებისადმი მხარდაჭერის გაძლიერებას. ამ მიმართულებით კი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნა.

ამ კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობისა და

რეგულირებისათვის შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. იგი საწყის ეტაპზე წარმოადგენდა დამოუკიდებელ დაწესებულებას. 2009 წლის 24 სექტემბერს გატარდა ცვლილება-დამატებები „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში“ და სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქცია შეითვისა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ხოლო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გადაიქცა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფად.

სტუდენტ ქეთი ზურაბიშვილის ნაშრომის მიხედვით - „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასურველი ორგანიზაციული ფორმა“ - ექსპერტთა გარკვეული ნაწილის აზრით დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ეროვნულ ბანკში გაერთიანებამ განაპირობა უარყოფითი შედეგი, კერძოდ არ ხდებოდა სადაზღვევო კომპანიების სათანადო დონეზე რეგულირება. აღნიშნული განსაკუთრებით შეინიშნებოდა სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ისინი ვერ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას, აგვიანებდნენ სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას. შედეგად შემცირდა მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის ნდობა სადაზღვევო კომპანიებისადმი. მათი აზრით, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად გადაწყდა სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება.⁴

ასევე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის წიაღში შექმნილმა დაზღვევის ზედამხედველობის ფუნქციამ ვერ გაამართლა, რადგან სადაზღვევო ბაზარზე უამრავი პრობლემა წარმოიქმნა და რეგულირება სათანადო დონეზე არ ხდებოდა. ხშირად

⁴ [http://www.hepoin.com/index.php/component/k2/item/82-insurance-supervision-დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასურველი ორგანიზაციული ფორმა,ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა,ქეთი ზურაბიშვილი \(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი\).](http://www.hepoin.com/index.php/component/k2/item/82-insurance-supervision-დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასურველი ორგანიზაციული ფორმა,ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა,ქეთი ზურაბიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი).)

კონკურენტების მიმართ არაკეთილსინდისიერი ქმედებები მუდამდებოდა, ზოგი გააკოტრეს, ზოგიც ძალით შეიერთეს⁵

„დაზღვევის შესახებ“ კანონში 2013 წელს შეტანილი ცვლილებით დაზღვევაზე ზედამხედველობა საქართველოს ეროვნული ბანკიდან ცალკე სამსახურად გამოიტანეს და 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაზღვევის ზედამხედველობას ახორციელებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, სამსახურის მთავარი მიზანია სადაზღვევო ბაზრის სრულყოფილი ფუნქციონირების, მისი გადახდისუნარიანობის და სტაბილურობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი ბაზრის ინტერესების - სადაზღვევო კომპანიებისა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობის სამსახური:

- „იმუშავებს მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო დოკუმენტაციას სადაზღვევო საკითხების შესახებ, ნორმატიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას, რომლის შესრულებაც ევალებათ სადაზღვევო კომპანიებს და ახდენს კონტროლს მისი ეფექტურად შესრულებისათვის რისთვისაც მას ევალება ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ისინი“⁶
- „ასევე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია ზღვეველისაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი

⁵ http://www.for.ge/view.php?for_id=23438&cat=3-დაზღვევის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გააკონტროლებს.

⁶ საქართველოს მთავრობა. (2013 წლის 2 მაისი). დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულება .

კომპეტენციის ფარგლებში⁷ ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიები მოქმედებდეს ერთი და იგივე პრინციპით, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სადაზღვევო ბაზრის სწორი ანალიზი და დგინდება კომპანიების გადახდისუნარიანობის დონის დადგენა.

- „ასევე იმუშავებს პროექტებს სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში მიღებულ ან მისაღებ ცვლილებების შეტანისათვის. ზედამხედველობის ორგანოს ფუნქცია სახელმწიფო ადგილობრივი და მუნიციპალური სადაზღვევო ორგანოების მიერ ინიცირებული პროგრამების შეთანხმება⁸“
- მას შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია კაპიტალის წარმოშობის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის სახეები მისი მინიმალური ოდენობა და გაანგარიშების წესი, რომლის კონტროლის ჩარჩოები რეგულირდება დებულებით-საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N 27 „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“
- განსაზღვრავს სადაზღვევო რეზერვის შექმნას და მისთვის გამოსაყენებელი აქტივების სტრუქტურის წესს.
- ასევე ადგენს აქტივებსა და ვალდებულებების თანაფარდობის ზღვრულ ოდენობას და მომგებიანობის მარჟის გაანგარიშების წესს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N 1 „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს ის რომ ამ კანონში გადმოცემული მეთოდები ჩემი აზრით არის არასრულად და რთულად შედგენილი, მომგებიანობის მარჟის გაანგარიშება არის საკმაოდ რთულად

⁷ საქართველოს მთავრობა (2013 წლის 2 მაისი) დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულება

აღსაქმელი, რთულად და არაერთგვაროვანი გამოსაყვანი რამაც შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა კომპანიების მიერ სხვადასხვა მეთოდებით მის გამოყენებამდე და მოგვცეს სადაზღვევო ბაზარზე კომპანიათა მდგომარეობის არასრული სურათი.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რადგანაც უკეთ მოხდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სადაზღვევო კომპანიების ეფექტური განვითარება, ამისათვის შეუძლია თავის საქმიანობაში მეთოდოლოგიის სახით ან კანონპროექტით გამოიყენოს უცხოური ეფექტური გამოცდილებები რომელსაც ის იღებს უცხოური სადაზღვევო ზედამხედველობის ორგანოსთან ინფრომაციის გაცვლის შედეგად. დინამიკაში სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობის უკეთ შედარების და ანალიზისათვის საზედამხედველო ორგანო ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკას, დაადგენს ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშების ფორმებს და მათი წარდგენის პროცედურებს, რომლის შესრულებაც ევალებათ სადაზღვევო კომპანიებს. სტატისტიკურ მაჩვენებლებში ის წარმოგვიდგენს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვას, მასზე მოქმედი კომანიებს მათ შემოსავლებს, ანაზღაურებულ ზარალს თითოეულ კომპანიაზე დაზღვევის სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მოგებას რომელიც რჩება კომპანიას წლის ბოლოს, გვიჩვენებს მის მიერ სხვა გადასახდებებს. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ექსპერტთა გარკვეული ნაწილის აზრით, მიუხედავად საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზაციული ფორმისა, ის ვერ ახორციელებს თავის საქმიანობას ეფექტურად. სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების შემდეგ ზედამხედველობის ორგანიზაციული ფორმა წლების განმავლობაში იცვლებოდა მაგრამ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია ბაზრის განვითარებაზე. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ დღემდე არც ერთი პრეცედენტი არ არსებობს რომლის მიხედვითაც რომელიმე სადაზღვევო კომპანია დაჯარიმებულიყო, მიუხედავად რეალურად არსებული არა ერთი დარღვევისა. შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო კომპანიები ხშირად არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს და სამწუხაროდ ამას სრულიად არ აკონტროლებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც მიზნად ისახავს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სიმყარის და გადახდისუნარიანობის განმტკიცებას და ასევე ბაზარზე სათანადოდ ორგანიზებული და კვალიფიციური ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის დაშვებას“. ცვლილებები წარმოადგენს სადაზღვევო ბიზნესის დაწყების და ფუნქციონირების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების პირველ ეტაპს ევროკავშირის და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივის შესაბამისი მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის თვალსაზრისით. 2016 წლის განმავლობაში დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოახდინა სადაზღვევო სექტორში. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საფუძველია მისი კაპიტალის სიდიდე. 2016 წელს დამტკიცდა გადახდისუნარიანობის მარჟის გაანგარიშების წესი, რომელიც საფუძვლად დაედო ფინანსური სიმყარის და გადახდისუნარიანობისთვის აუცილებელი საკუთარი კაპიტალის გამოთვლას, მარჟის გამოთვლა რეგულირდება ბრძანებით- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება N 15 „სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას მზღვეველის მიერ გადახდისუნარიანობის მარჟის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

გადახდისუნარიანობის მარჟა მოქმედებს ძლიერი სადაზღვევო სისტემის მქონე ყველა ქვეყანაში, ამ თემასთან დაკავშირებით მიძღვნილია მრავალი სტატია როგორც ურნალ „FORBES“-ში გიორგი გიგოლაშვილი წერს, ეს არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენი უნდა იყოს სადაზღვევო კომპანიის კაპიტალის მინიმალური სიდიდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ფინანსური სიმყარე და ის დაცული იყოს მოსალოდნელი თუ მოულოდნელი რისკებისაგან. თუმცა აღსანიშნავია ის რომ მომგებიანობის მარჟის გამოთვლა ხდება კომპანიების ზარალიანობის მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მრავალი ინფორმაცია იმისათვის რომ სწორად განისაზღვროს კომპანიის გადახდისუნარიანობა რაც გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის მარჟის

სიდიდეა 100 მილიონ ლარამდე, მოზიდული პრემიის შემთხვევაში ამ თანხის 18%, ხოლო 100 მილიონ ლარზე მეტი პრემიის მოზიდვის შემთხვევაში – 18 მილიონ ლარს დამატებული 100 მილიონზე გადაჭარბებული თანხის 16⁹ რატომაა ეს მნიშვნელოვანი? მსოფლიოს ძლიერი ფინანსური ბაზრების მქონე ქვეყნებში აპრობირებული მეთოდით სადაზღვევო კომპანიის კაპიტალის სიდიდის განსაზღვრა უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ სიმყარეს და მინიმუმამდე ამცირებს გადახდისუნარიობას, რაც ნიშნავს მისი ათეულობით და ასეულობით ათასი დაზღვეული სადაზღვევო კომპანიის მფლობელების/თანამშრომლების ინტერესების დაცულობის მაღალ ხარისხს, სადაზღვევო და ფინანსური ბაზრის გამართულად მუშაობას. გაფართოვდა სალიცენზიო მოთხოვნები და კომპანიის ხელმძღვანელ პირთა შესაფერისობის კრიტერიუმები. კომპანიები, რომლებიც აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, უნდა წარმოადგინონ საკუთარი ბიზნეს-გეგმა თუ რის გაკეთებას აპირებენ მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ეს მოთხოვნა დადებითად აისახება სადაზღვევო კომპანიებზე, რადგანაც კომპანიებს როდესაც წინასწარ აქვთ გათვლები, აქვთ ბიზნეს გეგმები მათ ადვილად შეუძლიათ გადახდისუნარიანობის მართვა.

ზედამხედველობის სამსახური აწესებს გარკვეულ სტანდარტებს კომპანიების გადახდისუნარიანობისათვის. სადაზღვევო კომპანიებმა გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უნდა დააკმაყოფილონ ზედამხედველის შესაბამისი ნორმატივები, რომლებზეც საუბარია დოქტორანტი თამარ ტულიძის ნაშრომში „ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე“ - პირველ რიგში ეს ეხება მინიმალური კაპიტალის ოდენობას. საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები შემდეგი ოდენობით არის დადგენილი: 2015 წლის აპრილამდე ლიცენზირებულმა სადაზღვევო კომპანიებმა 2016 წლის 31 დეკემბრამდე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი

⁹ ჟურნალი FORBES, 2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები სადაზღვევო ბაზარზე, გიორგი გიგალიშვილი (29 ივნისი 2017)

ოდენობით: ა) სიცოცხლის დაზღვევა – 1.5 მლნ ლარი; ბ) დაზღვევა (არასიცოცხლის) – 1 მლნ ლარი; გ) გადაზღვევა – 1.5 მლნ ლარი¹⁰”

თითოეულ კომპანიას მოცემული ფულადი სახსრები უნდა გააჩნდეთ საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე მინიმალური კაპიტალის 80%-ის ოდენობით. მზღვეველი ვალდებულია, საანგარიშო წლის ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა ზედამხედველს წარუდგინოს საქართველოში ლიცენზირებული იმ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, სადაც გახსნილი აქვს ანგარიში.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ახალი კომპანიებისათვის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრა შემდგენიერად: ა) სიცოცხლის დაზღვევა – 2.2 მლნ ლარი; ბ) დაზღვევა (არასიცოცხლე) – 2 მლნ ლარი; გ) გადაზღვევა – 2.2 მლნ ლარი. კომპანიას საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით. მოცემული ნორმატივის დარღვევისთვის მზღვეველს ეკისრება ფულადი ჯარიმა 50,000 ლარის ოდენობით¹¹.

საქმიანობის მიმდინარეობისას კომპანიამ მუდმივად უნდა შექმნას დაზღვევის თითოეული მიმართულების შესაბამისად ადეკვატური რეზერვები, რაც უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებასა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას. მისთვის დადგენილია საინვესტიციო რეზერვების სხვადასხვა აქტივებში განთავსების ნორმები. სადაზღვევო რეზერვების განთავსება და ინვესტირება უნდა მოხდეს აქტივების დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის პრინციპების საფუძველზე.

¹⁰ https://iberiana2.wordpress.com/georgia/t_ghutidze/ - „ვეროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე“ თამარ ლუტიძე

¹¹ https://iberiana2.wordpress.com/georgia/t_ghutidze/ - „ვეროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე“ თამარ ლუტიძე

თავისთავად ცხადია, ევროპასთან ასოცირების სურვილიდან გამომდინარე, მოცემულ დირექტივებთან მიახლოების აუცილებლობის მნიშვნელობა. ასევე გასათვალისწინებელია გადახდისუნარიანობის მარჯის გამოთვლის ბაზისი. Solvency I-ი დღეს ითვალისწინებს გადახდისუნარიანობის მარჯის გამოთვლას შემდეგი ბაზის მიხედვით: არასიცოცხლის დაზღვევისთვის 18% 50 მლნ ევროს ქვევით პრემიებზე და 16%-ს 35 მლნ ევროს ზევით პრემიებზე ან 26%-ს 35 მლნ ევროს ზარალებს ქვემოთ, ან 23%-ს 35 მლნ ევროს ზარალებს ზემოთ. ახალი დირექტივა Solvency II-ი ითვალისწინებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების ზრდას, ასევე რისკ მენეჯმენტს და ზედამხედველობას სააღრიცხვო და ეკონომიკურ ჭრილში. აუცილებელია ევროკავშირის გადახდისუნარიანობის რეგულაციების განხილვა და თანდათანობით მიახლოება. მომავალი წლიდან ევროკავშირი გადადის Solvency II-ზე, რომელიც ახალ რეგულაციებს მოიცავს და ითვალისწინებს მინიმალური კაპიტალის და მინიმალური სარეზერვო ფონდების ზრდას, ასევე ზედამხედველობასა და რისკების შესაბამისი მარჯების დაწესებას, არამარტო ფინანსური აღიქმვის მონაცემებით, არამედ ეკონომიკურ ჭრილში საბაზრო კონიუნქტურის შეფასების საფუძველზე. საქართველოს სადაზღვევო სექტორი ამ რეგულაციებთან მიმართებით ჯერ კიდევ შორს იმყოფება. ასევე გასათვალისწინებელია ვალუტის კურსის ცვლილება და სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ევროკავშირი ყოველწლიურად ახორციელებს მინიმალური კაპიტალის ოდენობის კორექტირებას მოცემული ინდექსის შესაბამისად)¹². აუცილებელია წინასწარ დროში განწერილი გეგმა მინიმალური კაპიტალის თანდათანობით ზრდისთვის, რაც ასევე წინასწარ გაცხადებული იქნება სადაზღვევო კომპანიებისათვის წინასწარ თადარიგის დასაჭერად. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირის სტანდარტების დაცვა გაგვიჭირდება..

დროებით თავისუფალი სახსრების სადაზღვევო ინვესტირება უნდა რეგულირდებოდეს საკმაოდ მკაცრად სახელმწიფოს მხრიდან. რეგულირება ასევე აუცილებელია მზღვეველთა უფლებების დასაცავად, რომელიც მოკლებულნი არიან

¹² https://iberiana2.wordpress.com/georgia/t_ghtidze/-„ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე“თამარ ლუტიძე

კონტროლირების შესაძლებლობებს. რაც გულისხმობს რამდენად პროფესიონალურად უძღვება სადაზღვევო კომპანია მინდობილი სახსრების განაწილებას და ხიფათის ქვეშ ხომ არ ჩააყენებს სადაზღვევო შეთანხმების ვალდებულებებს. ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით სადაზღვევო რეგერვების განაწილება უნდა ხდებოდეს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის პირობებით, რაც მიღებულია მთელს მსოფლიო პრაქტიკაში. სამართლებრივი უზრუნველყოფა დროთა განმავლობაში ვითარდება, ამას უზრუნველყოფს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური და როგორც ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი იოსებ გოგაშვილი აფასებს დღემდე გადადგმული ნაბიჯები არის შედეგიანი და მომავალშიც აპირებს სამსახური ამ ტემპით საქმიანობის გაგრძელებას, მისი თქმით „მომავალ წელს ჩვენ გავაგრძელებთ რეგულირების კუთხით სიახლეების დანერგვას და პრაქტიკაში გატარებას. არსებობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მოიცავს კომპანიის ციფრებთან მუშაობას, კონტროლს, ზედამხედველობას თუ რამდენად ფინანსურად მყარად არიან კომპანიები. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადაზღვევო ინდუსტრია მყარად დგას ფეხზე და ეს როგორც ინდუსტრიის ასევე ჩვენი დამსახურებაა. ჩვენ გავაგრძელებთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, აქვე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მოკლევადიანი პროექტის ფარგლებში (TAIEX) ველოდებით ევროპელი ექსპერტის ჩამოსვლას, რომელიც დაგვეხმარება დაზღვევის სახეობების კლასიფიკაციაში და ეს მოხდება იმ სტანდარტის მიხედვით, რომელიც მსოფლიოში არსებობს¹³.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საქართველოში სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობს სამართლებრივი რეგულირება 1997 წლიდან დღემდე საკმაოდ გნვითარებული ტემპით ხდება, ამ დრომდე მიღებული იქნა მრავალი კანონი, დებულება ბრძანება და მეთოდები სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის, სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ხელშეწყობისა

¹³ <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=421&lang=geo>-საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, იოსებ გიგალაშვილი, „ჩვენი მიზანია მომხმარებელზე ორიენტირებული სადაზღვევო სისტემა“

და რეგულირებისათვის, თუმცა დღეს არსებული დებულებები და მასში გადმოცემული განგარიშებათა წესები საკმაოდ რთული და დიდი რაოდენობის ინფორმაციას მოითხოვს სწორი ანალიზის გაკეთებისათვის. მომგებიანობის მარჯა განგარიშება მრავალი ინფორმაციის გამოყენების შედეგად რომელთა სრულად მოპოვება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ასევე დაზღვევის რეზერვების რაოდენობა, კაპიტალის მინიმალური სიდიდის რაოდენობა შესაბამისი უნდა იყოს სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობასთან და შეიქმნას თანაბარი პირობები წარმატებული სადაზღვევო საქმიანობისათვის რაც დადებითად აისახება კომპანიების შემოსავლებზე. ამ ყველაფრის ნაკლებობა, ბაზრის მონოპოლიზაცია მიუთითებს იმაზე რომ ეს სფერო ჯერ კიდევ დასახვეწია და მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს პრაქტიკაში ევროკავშირის სტანდარტებთან მოყვანისათვის.

თავი 3: სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობა საქართველოში

3.1 სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შეფასება საქართველოში

არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში მოითხოვს ეკონომიკური აგენტების გადახდისუნარიანობის ძირფესვიან ანალიზს. ვინაიდან ეკონომიკური გარემო აერთიანებს სხვადასხვა სფეროს ეკონომიკურ აგენტებს ერთ სფეროში წარმოქმნილი რისკი იქცევა სხვა მასზე დამოკიდებული სფეროს რისკის წაყაროდ, საბოლოოდ კი ეკონომიკური რისკის სახეს ღებულობს. ეკონომიკის დარგებს შორის დაზღვევის დარგი ყველასგან განსხვავებით რთული და რისკულია, ვინაიდან მისი საქმიანობა სრულიად დაკავშირებულია მომავლის განუსაზღვრულობასთან. ამასთან დაზღვევა, როგორც ბიზნესის სექტორი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს კონკურენტული პოზიცია ბაზარზე და განვითარდეს. სადაზღვევო ბაზრის განვითარება რეგულატორებს აიძულებს გაამკაცროს ზედამხედველობის ნორმები, ისე, რომ შენარჩუნდეს სადაზღვევო კომპანია და დამზღვევები არ დაზარალდნენ. გადახდისუნარიანობის რისკის შეფასება კორპორატიული რისკ მენეჯმენტის საფუძველია, რაც გულისხმობს რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავებას, მათ მონიტორინგს. დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაცია ICP 16 განსაზღვრავს კორპორატიული რისკ მენეჯმენტისადმი მოთხოვნებს გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა სადაზღვევო კომპანიის მართვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანია თავის თავზე ღებულობს მრავალ რისკს, რომელთა შედეგად შესაძლებელია წარმოიქმნას მისი, როგორც კომპანიის გადახდისუნარიანობის რისკი. მსოფლიო პრაქტიკაში გადახდისუნარიანობის მართვისათვის, როგორც წინა თავში აღინიშნა არის შემუშავებული სტანდარტი Solvency II. სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნა არის სადაზღვევი კომპანიის კაპიტალის უზრუნველყოფა გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად. მოთხოვნების დაუცველობამ შესაძლებელია სადაზღვევო კომპანია მიიყვანოს გაკოტრებამდე.

გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნა ჯერჯერობით დაზუსტებული ბოლომდე არ არის. გამოიყენება როგორც სტანდარტის მიერ შემუშავებული ფორმულა ასევე ცალკეული ქვეყნების ზედამხედველობის სამსახურების მიერ შექმნილი მოდელი. პირველ რიგში განვიხილოთ Solvency II-ის მიერ შემოთავაზებული ფორმულით გადახდისუნარიანობის გაანგარიშება.

სტანდარტის სახელმძღვანელოს რაოდენობრივი შეფასების მიხედვით SCR – არის კაპიტალის დონე, შევსებული იმ მიმართულებით, რომ მზღვეველის აქტივები 99.5% ალბათობით ერთი წლის შემდეგ გადააჭარბებს მის ვალდებულებებს. რისკის საზომად გამოიყენებულია VaR (Value-at-Risk) (რისკული კაპიტალი).

Solvency II-ის სტანდარტი განიხილავს SCR-ის გაანგარიშების სამ მოდელს: სიცოცხლის დაზღვევისათვის, სამედიცინო დაზღვევისათვის და რისკიანი დაზღვევისათვის, გარდა სიცოცხლისა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს დაზღვევის ბაზარზე სიცოცხლის დაზღვევა ვერ განვითარდა. განვიხილოთ არასიცოცხლის დაზღვევის გადახდისუნარიანობის კაპიტალი. სტატიის თანხმად, «Casualty Actuarial Society E-Forum, Solvency II Standard Formula and NAIC Risk-Based Capital (RBC), Fall 2012. – Volume¹⁴», კაპიტალის აუცილებელი დონის გაანგარისებისათვის განიხილება რისკები, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევენ კომპანიის გადახდისუნარიანობის დაკარგვას.

ვინაიდან სადაზღვევო საქმე არის რისკიანი, უპირველესად კაპიტალის გაანგარიშებისათვის, საჭიროა შეფასდეს მოსალოდნელი რისკების ზომა. ამისათვის ზოგიერთი სახის რისკებისათვის გამოიყენება ფაქტორული ანალიზის მეთოდი (გამოუმუშავებელი პრემიისა და რეზერვების უკმარისობის), სხვა სახის რისკებისათვის რისკის გადასახადი გამოითვლება სცენარით, როგორც მზღვეველის წმინდა აქტივების ღირებულებასა და იმავე თარიღისათვის რისკის ღირებულებას შორის. შემდეგ VaR-ის გამოყენებით გამოითვლება 99,5%-ით კაპიტალის მოთხოვნილი სიდიდე. Solvency II-ის დირექტივის მიხედვით კაპიტალის ფაქტიური სიდიდე,

¹⁴ «Casualty Actuarial Society E-Forum, Solvency II Standard Formula and NAIC Risk-Based Capital (RBC), Fall 2012. – Volume

როგორც მინიმუმ უნდა შეესაბამებოდეს გაანგარიშებული SCR-ის ნახევარს. თუ ფაქტური კაპიტალი ნაკლებია ამ დონეზე, კომპანიას ემუქრება გაკოტრების რისკი, ანუ ის არის გადახდისუნარო. საქართველოში სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშების წესი რეგულირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბერის №15 ბრძანებით, რომლის თანახმად ეს წესი არ ვრცელდება დაგროვებად და დაბრუნებად დაზღვევის სახეობებზე, ასევე „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ 2009 წლის 9 დეკემბრის №218 და „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრულ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებზე, რომელსაც ახორციელებდნენ მზღვეველები ამ წესის მიღებამდე და განხორციელების პერიოდი მოიცავს გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშებისთვის დადგენილ პერიოდს. გადახდისუნარიანობა განისაზღვრება რამოდენიმე ფორმულით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საანგარიშო პერიოდის გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა (RSM) განისაზღვრება პრემიებზე და ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გამოთვლილ მაჩვენებლებს შორის უდიდესით და გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{ფორმულა 1: } (RSM) = \text{Max} \{SR_P, SR_C\},$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

SR_P – პრემიებზე დაყრდნობის მეთოდით გამოთვლილი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი;

SR_C – ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გამოთვლილი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი.

მზღვეველი, რომელიც სადაზღვევო საქმიანობას ახორციელებს 3 (სამ) სრულ კალენდარულ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობას გაიანგარიშებს პრემიებზე დაყრდნობის მეთოდის გამოყენებით.

პრემიებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მარჯის სიდიდე გაანგარიშდება შემდეგნაირად:

წინა საანგარიშო წლის შესაბამისი სადაზღვევო პრემიები ჯამდება შემდეგი ფორმულით გათვალისწინებული პრინციპების მიხედვით:

$$\text{ფორმულა 2: } P = \sum_i [\max\{PW_i; PE_i\} \times IC_i - T_i],$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

P – შესწორებული ჯამური პრემია, გადახდისუნარიანობის მარჯის გამოთვლის მიზნებისთვის;

PW_i – წინა წლის მოზიდული ბრუტო პრემია მოცემული i სახეობისთვის;

PE_i – წინა წლის გამომუშავებული ბრუტო პრემია მოცემული i სახეობისთვის;

IC_i – შესწორების კოეფიციენტი, რომელიც საჭაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჭაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, დამჭირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (გარდა ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობისა) განისაზღვრება 1,5 ოდენობით, ხოლო ყველა სხვა სახეობისთვის – 1,0 ოდენობით;

T_i – წინა წლის განმავლობაში პრემიასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი და დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის

გაუქმებასთან დაკავშირებული ხარჯი, შესწორების კოეფიციენტის გათვალისწინებით მოცემული i სახეობისთვის.

ფორმულა 2-ით მიღებული შესწორებული ჯამური პრემია (P) იყოფა ორ ნაწილად და ჯამდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{ფორმულა 3: } A = P_1 \times 0.18 + P_2 \times 0.16,$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

P_1 – შესწორებული ჯამური პრემიის ნაწილი, რომელიც ტოლია ან ნაკლებია 100,000,000 (ასი მილიონი) ლარის/ლარზე;

P_2 – შესწორებული ჯამური პრემიის ნაწილი, რომელიც მეტია 100,000,000 (ასი მილიონი) ლარზე.

1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფორმულების მიხედვით გადახდისუნარიანობის მარჯის სიდიდის გაანგარიშებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მონაცემები იმ სადაზღვევო პოლისების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო/გლობალური ხელშეკრულებებიდან ან/და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებიდან გამომდინარეობს და რომელთა მიხედვითაც საჭიროა რისკის ფაკულტატური გადაზღვევა – რისკის ერთჯერადი სულ მცირე 85%-იანი გადაზღვევა ისეთ გადამზღვევ კომპანიაში, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს Standard & Poors-ის მიერ მინიჭებული მინიმალური რეიტინგი არანაკლებ „BBB“-ის, ან საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების, „Fitch“-ის, „Moody’s“-ის და „AM Best“-ის მიერ მინიჭებული ექვივალენტური რეიტინგი. ამ პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისების შემთხვევებში გაანგარიშება მოხდება შემდეგი სპეციალური ფორმულის მიხედვით:

$$\text{ფორმულა 4: } F = \sum_i (NPW_i \times 0.18 + PR_i \times 0.04) \times IC_i]$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

NPW_i – მოზიდული ნეტო პრემიის ოდენობა მოცემული i სახეობისთვის, ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად. მოზიდული ნეტო პრემია გაიანგარიშება, როგორც

სხვაობა მოზიდულ ბრუტო პრემიასა და შესაბამისი ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადაზღვევის პრემიას შორის;

PR_i – გადაზღვევის პრემიის ოდენობა მოცემული i სახეობისთვის, ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით;

IC_i – შესწორების კოეფიციენტი, რომელიც საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, რომელიც დაკავშირებულია მსურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, დამქირაველის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (გარდა, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობისა) განისაზღვრება 1,5%-ის ოდენობით, ხოლო ყველა სხვა სახეობისთვის – 1,0%-ის ოდენობით.

4. ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის (SR_p) გამოსათვლელად, ამ მუხლში მოცემული ფორმულა 3-ის შესაბამისად მიღებული სიდიდე (A) მრავლდება შეკავების კოეფიციენტზე, რომელიც გამოითვლება წინა სამი წლის განმავლობაში დამდგარი ნეტო ზარალების ჯამის შეფარდებით დამდგარ ბრუტო ზარალების ჯამთან, ემატება ამავე მუხლში მოცემული ფორმულა 4-ის შესაბამისად მიღებული სიდიდე (F) და გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{ფორმულა 5: } SR_p = A \times \max\left\{\frac{NIC_1 + NIC_2 + NIC_3}{GIC_1 + GIC_2 + GIC_3}, 0.5\right\} + F,$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

A – წინამდებარე წესის მე-3 მუხლის ფორმულა 3-ით მიღებული სიდიდე;

NIC_1, NIC_2, NIC_3 – მოცემულ i წელიწადს მდგარი ნეტო ზარალების ოდენობა;

GIC_1, GIC_2, GIC_3 – მოცემულ i წელიწადს დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა;

F – წინამდებარე წესის მე-3 მუხლის ფორმულა 4-ის მიხედვით მიღებული სიდიდე, ამასთან:

ა) დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა ყოველი კალენდარული წლისთვის შეადგენს ანაზღაურებული ზარალების ოდენობას და ზარალების რეზერვებში ცვლილების ჯამს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) დამდგარი ნეტო ზარალების ოდენობა შეადგენს ბრუტო ზარალების ოდენობას გამოკლებული გადამზღვეველის მიერ ანაზღაურებული ზარალების ოდენობა და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში გადამზღვეველის წილის საბოლოო და სანყის ნაშთებს შორის სხვაობა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) დამდგარი ბრუტო და ნეტო ზარალების ოდენობა, საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (გარდა, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობისა) გაიზრდება 50%-ით;

დ) თუ წინა სამი წლის განმავლობაში დამდგარი ნეტო ზარალების ჯამის, დამდგარ ბრუტო ზარალების ჯამთან შეფარდებით მიღებული შედეგი 0,5-ზე ნაკლებია, შეკავების კოეფიციენტი შეადგენს 0,5-ს.

გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშება ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით;

ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მარჯის სიდიდე გაანგარიშდება წინა სამი წლის განმავლობაში შესწორებული დამდგარი ბრუტო ზარალების საშუალო ოდენობის მიხედვით და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

ფორმულა 6:
$$L = \frac{GIC_1 + GIC_2 + GIC_3}{3}$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

L – გადახდისუნარიანობის მარჯის გამოთვლის მიზნებისთვის შესწორებული საშუალო წლიური ზარალების სიდიდე;

GIC₁, GIC₂, GIC₃ – მოცემულ i წელიწადს დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა. ამასთან:

ა) დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა ყოველი კალენდარული წლისთვის შეადგენს ანაზღაურებული ზარალების ოდენობას და ზარალების რეზერვებში ცვლილების ჯამს;

ბ) დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (გარდა ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობისა) გაიზრდება 50%-ით.

წინამდებარე წესის მე-4 მუხლის ფორმულა 6-ით მიღებული შესწორებული საშუალო წლიური ზარალების სიდიდე (L) იყოფა ორ ნაწილად და ჯამდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

ფორმულა 7: $B = L_1 \times 0.26 + L_2 \times 0.23$,

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

L_1 – შესწორებული საშუალო წლიური ზარალების სიდიდე, რომელიც ტოლია ან ნაკლებია 70,000,000 (სამოცდაათი მილიონი) ლარის/ლარზე;

L_2 – შესწორებული საშუალო წლიური ზარალების სიდიდე, რომელიც მეტია 70,000,000 (სამოცდაათი მილიონი) ლარზე.

ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის (SR_C) გამოსათვლელად, წინამდებარე მუხლის ფორმულა 7-ით მიღებული სიდიდე (B) მრავლდება შეკავების კოეფიციენტზე, რომელიც გამოითვლება წინა სამი წლის

განმავლობაში დამდგარი ნეტო ზარალების ჯამის შეფარდებით დამდგარ ბრუტო ზარალების ჯამთან და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფორმულა 8: } SR_C = B \times \max\left\{\frac{NIC_1+NIC_2+NIC_3}{GIC_1+GIC_2+GIC_3}, 0.5\right\},$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

B – წინამდებარე წესის მე-4 მუხლის ფორმულა 7-ით მიღებული სიდიდე;

NIC₁, NIC₂, NIC₃ – მოცემულ i წელიწადს დამდგარი ნეტო ზარალების ოდენობა;

GIC₁, GIC₂, GIC₃ – მოცემულ i წელიწადს დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა, ამასთან:

ა) დამდგარი ბრუტო ზარალების ოდენობა ყოველი კალენდარული წლისთვის შეადგენს ანაზღაურებული ზარალების ოდენობას და ზარალების რეზერვებში ცვლილების ჯამს;

ბ) დამდგარი ნეტო ზარალების ოდენობა შეადგენს ბრუტო ზარალების ოდენობას გამოკლებული გადამზღვეველის მიერ ანაზღაურებული ზარალების ოდენობა და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში გადამზღვეველის წილის საბოლოო და სანყის ნაშთებს შორის სხვაობა;

გ) დამდგარი ბრუტო და ნეტო ზარალების ოდენობა საჰაერო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის, საზღვაო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის, სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია მცურავი ტრანსპორტის გამოყენებასთან, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, დამქირავებლის პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებისთვის (გარდა ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობისა) გაიზრდება 50%-ით;

დ) თუ წინა სამი წლის განმავლობაში დამდგარი ნეტო ზარალების ჯამის შეფარდებით დამდგარ ბრუტო ზარალების ჯამთან მიღებული შედეგი 0,5-ზე ნაკლებია, შეკავების კოეფიციენტი შეადგენს 0,5-ს.

შესწორებები წინა საანგარიშო წელზე დაყრდნობით იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად საანგარიშო პერიოდისთვის გაანგარიშებული მზღვეველის გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა (RSM) ნაკლებია წინა წელს მიღებულ შედეგზე, მაშინ წინა წლის გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა მრავლდება წინა წლის საბოლოო ნეტო ზარალების და საწყისი ნეტო ზარალების რეზერვების შეფარდებით მიღებულ კოეფიციენტზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1-ს და გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით.

ფორმულა 9:

$$AdjSolvMarg_{reportingyear} = \text{Min} \left\{ \frac{NCP_{end}}{NCP_{beginning}}, 1 \right\} \times ReqSolvMarg_{previousyear}$$

სადაც გამოყენებულ ცნებებს და აღნიშვნებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

NCP_{end} – წინა წლის საბოლოო ზარალების რეზერვი (ნეტო);

$NCP_{beginning}$ – წინა წლის საწყისი ზარალების რეზერვი (ნეტო).

მოცემული მეთოდიკის გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჟა ფასდება საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის მიხედვით, კერძოდ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბერის ბრძანება №16-ის თანახმად მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა ტოლი უნდა იყოს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის.

საქართველოში გამოყენებული მეთოდიკის, კერძოდ ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის (SRp) გაანგარიშების ფორმულების გამოყენებით გავიანგარიშეთ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ გადახდისუნარიანობის მარჟა. ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით გადახდისუნარიანობის მარჟის სიდიდე გაანგარიშდება წინა სამი წლის განმავლობაში შესწორებული დამდგარი ბრუტო ზარალების საშუალო ოდენობის მიხედვით.

$$L = \frac{GIC_1 + GIC_2 + GIC_3}{3} = \frac{52519000 + 46845000 + 62175000}{3} = 53846300 \text{ ლარი} \quad (1)$$

მიღებული შესწორებული საშუალო წლიური ზარალების სიდიდე (L) იყოფა ორ ნაწილად და ჯამდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$B = L_1 \times 0.26 + L_2 \times 0.23 = 62175000 \times 0.26 = 16\ 165\ 500 \text{ ლარი} \quad (2)$$

გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი (SR_C) გამოითვლება ფორმულით:

$$\begin{aligned} SR_C &= B \times \max \left\{ \frac{NIC_1 + NIC_2 + NIC_3}{GIC_1 + GIC_2 + GIC_3}, 0.5 \right\} \\ &= 16\ 165\ 500 \times \max \left\{ \frac{33\ 193\ 000 + 42\ 589\ 000 + 60\ 988\ 000}{52\ 519\ 000 + 46\ 845\ 000 + 62\ 175\ 000}, 0.5 \right\} \\ &= 6\ 843\ 410 \text{ ლარი} \end{aligned}$$

2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის გადახდისუნარიანობის მარჯისა და საზედამხედველო კაპიტალის თანათარღობა 1-ის ტოლი უნდა იყოს. 2018 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოში სადაზღვევო კომპანიების არასიცოცხლის დაზღვევის საზედამხედველო კაპიტალი გაიზარდა 4 200 000 ლარამდე. მიღებული შედეგი ადასტურებს, რომ გადახდისუნარიანობისა და საზედამხედველო კაპიტალის თანათარღობა „ჯიპიაი“-ის სადაზღვევო კომპანიისათვის ერთზე მეტია ($6\ 843\ 410 / 4\ 200\ 000 = 1.6$). მიღებული შედეგი ადასტურებს, რომ კომპანიის გადახდისუნარიანობა საუკეთესოა, მაგრამ ჩვენი აზრით შეფასებისას არ გამოიყენება პორტფელში არსებული რისკების ანალიზი და შესაძლებელია ერთი მაღალი ხარისხის რისკის რეალიზაციამ გადახდისუნარო გახადოს კომპანია.

როგორც ვხედავთ არსებობს გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშების ორი მეთოდი: ზარალების და პრემიების გამოყენების მეთოდი. ჩვენთვის მისაღებია ზარალის მეთოდით გამოთვლა, რადგანაც სადაზღვევო კომპანიის მოგების გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია სწორედ მის მიერ გადახდილ სადაზღვევო ანაზღაურებაზე. შესაძლებელია კომპანიას ქონდეს მაღალი პრემია მაგრამ მაღალი ზარალის გამო შეიძლება აღმოჩნდეს გადახდისუნარიანობის წინაშე ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რისკები ანალიზის გაკეთება, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით ახდენენ გავლენას მის მოგებაზე.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სტაბილურობა, მისი შემადგენელი ელემენტები და ის თუ რა სახის ფინანსური შედეგები შეიძლება მიიღოს სადაზღვევო კომპანიამ დამოკიდებულია გადახდისუნარიანობაზე. ფინანსურ სტაბილურობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპის ქვეყნებშიც, Solvency II, რომელიც არის გადახდისუნარიანობის გაანგარიშების ევროპაში მიღებული ერთ-ერთი მეთოდი, ემსახურება სადაზღვევო კომპანიების კაპიტალის გაუმჯობესებას მისი აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციით. მაგრამ პრობლემა იქმნება სიცოცხლის დაზღვევის კომპანიებისათვის, იმ მოსაზრებით, რომ დაზღვევის თანხის გარანტირებული გადახდა არის აუცილებელი. ამავე დროს არ ემთხვევა ინვესტიციებისა და გრძელვადიანი აქტივების ხანგრძლივობა ერთმანეთს. ევროპის

სადაზღვევო ბაზარი, მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში ისწრაფვის სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ამაღლებისაკენ, თუმცა საქმიანობის რისკული ხასიათიდან გამომდინარე, მიღებული ღირეექტივები ექვემდებარება ცვლილებებს, რომელთა დღის წესრიგში დაყენება მხოლოდ დამდგარი არახელსაყრელი მოვლენების შემდეგ ხდება აუცილებელი, რაც გარკვეულწილად აზარალებს კომპანიებს და ქვეყნის ეკონომიკასაც. რაც შეეხება საქართველოში გადახდისუნარიანობის რეგულირებას შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის სამართლებრივი რეგულირება 1997 წლიდან დღემდე საკმაოდ განვითარებული ტემპით მიმდინარეობს, ამ დრომდე მიღებული იქნა მრავალი კანონი, დებულება, ბრძანება და მეთოდები სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის, სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ხელშეწყობისა და რეგულირებისათვის, თუმცა დღეს არსებული დებულებები და მასში გადმოცემული გაანგარიშებათა წესები საკმაოდ რთულია და დიდი რაოდენობის ინფორმაციას მოითხოვს სწორი ანალიზის გაკეთებისათვის. მომგებიანობის მარუა გაანგარიშება მრავალი ინფორმაციის გამოყენების შედეგად, რომელთა სრულად მოპოვება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ასევე დაზღვევის რეზერვების რაოდენობა, კაპიტალის მინიმალური სიდიდის რაოდენობა შესაბამისი უნდა იყოს სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობასთან და შეიქმნას თანაბარი პირობები წარმატებული სადაზღვევო საქმიანობისათვის რაც დადებითად აისახება კომპანიების შემოსავლებზე. ამ ყველაფრის ნაკლებობა, ბაზრის მონოპოლიზაცია მიუთითებს იმაზე რომ ეს სფერო ჯერ კიდევ დასახვეწია და მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს პრაქტიკაში ევროკავშირის სტანდარტებთან მოყვანისათვის.

საქართველოში გადახდისუნარიანობის მარუის გაანგარიშების ორი მეთოდიდან გამოყენებადია ზარალებზე დაყრდნობით გაანგარიშების მეთოდი, რადგანაც სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია სწორედ მის მიერ გადახდილ სადაზღვევო ანაზღაურებაზე. შესაძლებელია კომპანიას ქონდეს მაღალი პრემია, მაგრამ მაღალი ზარალის გამო აღმოჩნდეს გადახდისუნარიანობის

წინაშე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რისკების ანალიზის გაკეთება, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით ახდენენ გავლენას მოგებაზე. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდით მონინავე სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა მაღალია, მაგრამ არ არის ამ დროს რისკის ხარისხი გათვალისწინებული, ამიტომაც შესაძლებელია ერთი მაღალი ხარისხის რისკის რეალიზაციამ გადახდისუნარო გახადოს კომპანია.

რეკომენდაციები

- სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შემოსავლების გაზრდისათვის გაფართოვდეს სიცოცხლის დაგროვებადი დაზღვევის მასშტაბები;
- არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების მრავალფეროვნებისათვის შესწავლილი იქნას ქვეყანაში მოსალოდნელი რისკების სახეები და შეიქმნას ახალი დაზღვევის პროდუქტები, რაც გაზრდის კომპანიის ხელშეკრულებათა რაოდენობას და შესაბამისად გაიზრდება ფინანსური მდგრადობა;

- დაზღვევის პრემიის შემცირების მიზნით გათვალისწინებული იქნას დატვირთვის ხარჯების ოპტიმიზაცია, რაც შესაძლებლობას მისცემს მეტი დაზღვევის ჩართვას სადაზღვევო ურთიერთობებში;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების კოეფიციენტები განხილული კომპანიის ფინანსური მონაცემებით მისაღებია, თუმცა, როგორც დიდი რისკის მატარებელი კომპანია, მოსალოდნელია ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სრულიად საპირისპირო მდგომარეობა დადგეს, ამიტომ კომპანიის მთავარი პრინციპი უნდა იყოს გაკოტრებისაგან დაცვისათვის შესაბამისი რეზერვების ფორმირება და თვით რეზერვების მდგრადობის შენარჩუნება, ამას კი მიუყავართ საინვესტიციო პოტენციალის შემცირებამდე, გამომდინარე აქედან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საინვესტიციო პოტენციალი ძირითადად დაეყრდნოს სიცოცხლის დაგროვებად დაზღვევას, ხოლო არასიცოცხლის დაზღვევის რეზერვები მოემსახუროს კომპანიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას;
- რეგრესულ ანალიზში გამოყენებული ფაქტორებით მოდელის ახსნის დაბალი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით განპირობებულია არანორმალ ალრიცხვის და საინვესტიციო წყაროების არასწორად განსაზღვრით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ გამოყენებული ფაქტორები სწორედ, რომ განსაზღვარავენ კომპანიის საინვესტიციო აქტივობის ხარისხს, აქედან გამომდინარე ცალკე შესწავლას მოითხოვს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო წყაროები და მათი შესაბამისობა რეზერვების განთავსების წესთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიგოლაშვილი გ.2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები სადაზღვევო ბაზარზე, ჟურნალი „forbes”(29 ივნისი 2017)
2. გურული ი, სადაზღვევო სექტორის სტატისტიკა,რადიო თავისუფლება,(აპრილი03,2015) <https://www.radiotavisupleba.ge/a/sadazgvevo-sektori/26936368.html>

3. ვერულავა თ, თეონა ელიაშვილი „სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები” სამეცნიერო ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1. 2015
<http://eprints.iliauni.edu.ge/2995/1/>
4. ზურაბიშვილი ქ, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასურველი ორგანიზაციული ფორმა, <http://www.hepoin.com/index.php/component/k2/item/82-insurance-supervision>
5. კაკაშვილი ნ, ბიზნესი და კანონმდებლობა (2008 #20),სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები,
<http://eprints.iliauni.edu.ge/2995/1/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%93%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf>.
6. კაკაშვილი ნ,(2010) გადახდისუნარიანობის სპეციფიკა სადაზღვევო საქმიანობაში.
7. კაკაშვილი ნ, სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური ასპექტები,ბიზნესი და კანონმდებლობა, (2010#19-20) <http://www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-0l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.12&d=HASHf8d7ad69e1d83d854ead32.4.1>
8. ლაზარიაშვილი თ, კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე და მისი რეგულირების მექანიზმები, <http://competition25.ge/public/uploads/media/lazariashviliTamar.pdf>

9. ლოლაშვილი მ, დაზღვევის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გააკონტროლებს (2013-05-09 11:32:59)
http://www.for.ge/view.php?for_id=23438&cat=3.
10. ჟურნალი "კომერსანტი" 05,12,2016საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია ,<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=421&lang=geo>
11. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სტატისტიკური მაჩვენებლები <http://insurance.gov.ge/Legislation/Normative-Acts.aspx>
12. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“
13. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“
14. საქართველოს მთავრობა (2013 წლის 2 მაისი). დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულება .
http://insurance.gov.ge/getattachment/Legislation/Normative-Acts/zedamxedvelobis_debuleba.pdf.aspx
15. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884>
16. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური დებულება #1,სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების შესახებ.
http://insurance.gov.ge/getattachment/Legislation/Normative-Acts/sadazgvevo_rezervebis_saxeobis_gansazgvra.pdf.aspx.
17. ცერცვაძე ა, ხანთაძე გ. ვეკუა დ. სადაზღვევო საქმე, 2016.თბილისი
18. ცინცაძე ა, მელიოიანი ფუტკარაძე ლილითი, სადაზღვევო ბაზრის მდგორადობის ანალიზი, <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/TsintsadzeAsie.pdf>
19. ცინცაძე ა, ლლონტი ვ, ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 #3, როგორ განვაუვიტაროთ სადაზღვევო ბაზარი,
<https://l.facebook.com/l.php?u=http%3A%2F%2Fwww.nplg.gov.ge%2Fgsdl%2Fcgi-bin%2Flibrary.exe%3F%3Dd-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0--->

- Oprompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00%26cl%3DCL1.12%26d%3DHASH01a1bb460dc9d746bbf59c71.16.1%26gt%3D1&h=ATPXU0HTpKXF47bF3WKL&dP4_599tJmVZTBxxHRxnwUydChWqHWhHzCZc9fvSo6-5d7gl0RDGAbAMl6H66julxMW4BB9qK0zhjtF1us&s=1
20. ლუტიძე თ, იბერია 2-, „ევროკავშირთან ინტეგრაციის შესაძლო გავლენა საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე“ (თბილისი 2015)
https://iberiana2.wordpress.com/georgia/t_ghutidze/
 21. ჰერფინდალ ჰერშმანის მოდელი:
file:///D:/Documents/Downloads/2012Shirinyan_JourEurEcon11Rus_Germany.pdf
 22. insurers of Europe.Solvency II Glossary,
http://ec.europa.eu/internal_market/insurance/docs/solvency/impactassess/annex-c08d_en.pdf.
 23. <http://insurance.gov.ge/Legislation/Normative-Acts.aspx>
 24. <http://forbes.ge/news/2406/mniSvnelovani-movlenebi-sadazRvevo-bazarze>
 25. <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/TsintsadzeAsie.pdf>
 26. Strategic Management: Competitiveness and Globalization, 5th Ed., Michael A. Hitt, D. Ireland, and R. E. Hoskisson. South-Western, 2003.
 27. Николаева И. П. Мировая экономика, М. : Высшая школа, 2003
 28. Жуков Е. Ф.. Международные экономические отношения. Учебник. –2-ое изд., перераб. и доп.--- М:ЮНИТИ _ ДАНА, 2003.--- 489 с;
 29. Томпсон А. А. Стрикленд Ф.ДЖ. Стратегический менеджмент – Концепции и ситуации для анализа, Москва-Санкт-петербург-Киев 2005;
 30. Федякин. Международные финансы. М.2004
 31. [www. /business.ru/](http://www.business.ru/)
 32. [www. imd.ch/research/publications/](http://www.imd.ch/research/publications/)
 33. [www. weforum.org/en/initiatives](http://www.weforum.org/en/initiatives)
 34. www.geostat.ge